დასავლეთმა უნდა დაარწმუნოს რუსეთი, თავი დაანებოს სამხრეთ კავკასიას A5

სანამ მეოთხე საკვალიფიკაციო ეტაპს შემოიღებდნენ A6

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 24 ივლისი, 2003 წელი. №201 (413)

ფასი 30 თეთრი

## ევროკავშირის სამხედრო ძალები შესაძლოა, პოსტსაბჭოთა კონფლიქტებში გამოჩნდნენ

კობა ლიკლიკაძე
*„რადიო თავისუფლება“, სპეციალურად "24 საათისთვის"*

*უახლოეს ხანს აფხაზეთის კონფლიქტის ძალისმიერი გადაჭრის თაობაზე, შესაძლოა, ახალმა პოლიტიკურმა ტალღამ იფეთქოს. ამის მიზეზი იქნება არა პარლამენტის ან გაერო-ს უშიშროების საბჭოს მორიგი დადგენილება, ან ჯორჯ ბუშის წერილი "ამერიკულ აქცენტებზე" აფხაზეთის კონფლიქტში, არამედ ეუთო-ს ამჟამინდელი თავმჯდომარის, ჰოლანდიის წინადადება, რომელსაც განიხილავს ევროკავშირის უსაფრთხოებისა და პოლიტიკის კომიტეტი. ჰოლანდიამ გამოთქვა აზრი, რომ ევროკავშირის სამშვიდობო შენაერთი გაიგზავნოს მოლდოვაში, სადაც კონფლიქტს ხელისუფლებასა და დნესტრისპირეთის რუსულენოვან მოსახლეობას შორის ბოლო არ უჩანს.*

სულ რამდენიმე დღეა, რაც დამთავრდა "იმელის" შენობის წინ მიმდინარე ვეტერანი მეომრების შიმშილობის აქცია, მაგრამ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე დაწყებული აჟიოტაჟი საქართველოში არ ცხრება. როგორც ყოველთვის, ამ მხრივ ყველაზე უფრო აქტიურობს დევნილობაში მყოფი აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი. საამისოდ მას ყველაზე მეტი მიზეზი აქვს – ჯერ უშიშროების საბჭომ, ხოლო შემდგომ საქართველოს პარლამენტმა ერთსულოვნად დაამტკიცეს ახალი პოლიტიკური კურსი, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს კონფლიქტის მოწესრიგების არსებული ფორმატიდან მშვიდობის იძულებით დამყარებაზე გადასვლის სტრატეგია.

გაგრძელება A2 გვერდზე

## მთავრობას ქვეყნის უსაფრთხოება აღარ აღელვებს

კატასტროფული მდგომარეობაა სოციალური ფონდის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსებაში.

A4

## რუსთავის მეტალურგიის მომავალი კვლავ გაურკვეველია

მამალაძე სასამართლოს თითს უქნევს, სასამართლო კი "მეტალურგია-კილიგარდის" საქმეს განუხილველად ტოვებს

A2

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 29 |
| ბათუმი | 23 |
| ქუთაისი | 27 |
| სოხუმი | 26 |
| გორი | 29 |
| ცხინვალი | 23 |
| თელავი | 30 |
| ბოლნისი | 28 |
| ონი | 28 |
| ფასანაური | 21 |
| საგარეჯო | 28 |
| ლაგოდეხი | 32 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1500 |
| ევრო | 2.4891 |
| გირვანქა სტერლ | 3.5750 |
| რუბლი | 0.0708 |

## ბეიკერისეულმა მოდელმა დღევანდელ ცესკო-ს აჭრობა

თამარ მჭედლიშვილი

*როგორც იქნა, მრავალთვიან კონსულტაციებს პარლამენტში ბოლო მოეღო: გუშინ, ღამის პირველ საათზე ხალხის რჩეულებმა ერთსულოვნად, 123 ხმით, პირველი მოსმენით მხარი დაუჭირეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ახალ, ბეიკერისეულ მოდელს, რაც ნიშნავს, რომ დღეიდან საქართველოს უჩნდება შანსი, არჩევნების მიმდინარეობაზე უფრო მკაცრი კონტროლი დაწესდეს და გაყალბებები მინიმუმამდე დავიდეს. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ასეთი გადაწყვეტილებისთვის მადლობის სიტყვებს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი იმსახურებს და არა სახელისუფლებო ფრაქციები, რადგან, რომ არა შევარდნაძის ჩარევა, პარლამენტი გუშინ ისე დაიშლებოდა, რომ ამ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ.*

გაგრძელება A3 გვერდზე

ირაკლი ლეონიძის ფოტო

*ოპოზიციურმა ფრაქციებმა დიდი ბრძოლა გადაიტანეს.*

## ნიკა ლომინაძის მკვლელობა

როგორ იძიებენ მილიონების გაქრობის საქმეს და რა მოხდა სინამდვილეში

წერილი მეხუთე

*საქართველოში რიგითი ჩინოსნები მილიონებს ვერ შოულობენ, არადა, ნიკა ლომინაძის მკვლელობის შემდეგ ამოტივტივებული ფინანსური მაქინაციის მთავარ გმირად აღიარებული, ამჯერად თაღლითობაში ბრალდებული მირიან ცხვარაძე სწორედ ერთი რიგითი მოხელე გახლდათ, ოღონდ საკმაოდ კარგი კავშირების მქონე. მან რამდენიმე წლის მანძილზე 8 მილიონ ლარზე მეტის მითვისება მოახერხა.*

სოფო ჩხაიძე

"იბერია პრაიმ კაპიტალის" დირექტორი მირიან ცხვარაძე საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ძებნილად ჯერ კიდევ 2002 წლის ზაფხულში, დიდი ოდენობით გადასახადების დამალვის გამო გამოცხადდა. თუმცა, დაკავებით იგი მხოლოდ მას შემდეგ დააკავეს, რაც ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმეს ცალკე წარმოებად თაღლითობის მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმე გამოეყო. გამოძიების პროცესში

გაგრძელება A3 გვერდზე

## ვისთვის მეგობრებთან, ვისთვის ყრუებთან საუბარი

რუსეთის დუმა-ს დელეგაციის შეხვედრები საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერებთან

ლელა მჭედლიძე

*რუს პარლამენტართა ვიზიტის მესამე დღეს, ვლადიმირ ლუკინის ხელმძღვანელობით, სტუმრები ვახტანგ რჩეულიშვილსა და ვახტანგ ყოლბაიას შეხვდნენ. დახურულ კარს მიღმა გამართული საუბრების შემდეგ სტუმრებს და მასპინძლებს სხვადასხვა შთაბეჭდილება დარჩათ.*

რუსეთთან მეგობრობის და მეზობლობის სურვილით ანთებული რჩეულიშვილი აშკარად რუსებისთვის უფრო მისაღებ ენაზე საუბრობდა. "სოციალისტთა" ლიდერი საქართველოს სახელმწიფო ინტერესების რუსეთისგან დაუფარავად, უფრო ზუსტად, მასთან შეთანხმებით დაცვის მომხრეა. ვიცე-სპიკერი ხელისუფლების შეცდომად მიიჩნევს "ავაქსის" ტიპის სადაზვერვო თვითმფრინავის რუსეთთან შეუთანხმებლად საქართველოში ჩამოყვანას. მისთვის სრულიად გასაგებია ამ ფაქტით რუსეთის გაღიზიანება, **"რადგან ამ ტიპის თვითმფრინავს ქვეყნიდან გაუსვლელად შეუძლია რუსეთის ტერიტორიის დიდი ნაწილის დაზვერვა".**

გაგრძელება A3 გვერდზე

ბექა ბელაძის ფოტო

*ვლადიმირ ლუკინი ყველა შეხვედრაზე თითქმის ერთსა და იმავეს იმეორებდა.*

## პირველი შანსი ქართველი ლამაზმანებისთვის

"იმიჯ-ცენტრი" საქართველოში "მის მსოფლიოს" ოფიციალური წარმომადგენელი გახდა

ვერა ნეფარიძე

წელს საქართველოში პირველად გაიმართება სილამაზის საერთაშორისო კონკურსის "მის მსოფლიოს" შესარჩევი ტური. ეს მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ქართულმა სამოდელო სააგენტო "იმიჯ-ცენტრმა" საქართველოში "მის მსოფლიოს" ოფიციალური წარმომადგენლის სტატუსი მოიპოვა. გუშინ ახალი სტატუსისა და დაგეგმილი კონკურსის შესახებ "იმიჯ-ცენტრის" ხელმძღვანელობამ, კონკურსის თანაორგანიზატორებთან და სპონსორებთან ერთად, სასტუმრო "მერიოტის" საკონფერენციო დარბაზში პრესკონფერენცია გამართა.

ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული ბრიტანული პროექტი, სილამაზის საერთაშორისო კონკურსი "მის მსოფლიო" (პოპულარობით ის მხოლოდ ცნობილ პროექტს - "როგორ გავხდე მილიონერი", ჩამორჩება) საქართველოსთან იწყებს ოფიციალურ თანამშრომლობას.

გაგრძელება A7 გვერდზე

ირაკლი ლეონიძის ფოტო

*"მის საქართველოს" ორგანიზატორები "მის მსოფლიოსათვის" ემზადებიან.*

## ტერაქტი ნიუ-იორკის მერიაში

REUTERS

*შოკირებული ხალხი პოლიციას საავადმყოფოებში გადაჰყავს.*

თბილისის დროით დაახლობით შუაღამისას, ნიუ-იორკის მერიის შენობაში, ჯერჯერობით დაუდგენელი პირი შეიჭრა და ცეცხლი გახსნა აივნიდან, საიდანაც მოქალაქეები თვალყურს ადევნებენ ნიუ-იორკის ქალაქის საბჭოს სხდომას. სროლის შედეგად ადგილზე დაიღუპა ქალაქის საბჭოს ბრუკლინის დეპუტატი, ყოფილი პოლიციელი ჯეიმს დევისი. კიდევ ერთი ადამიანი მძიმე ჭრილობებით საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მოგვიანებით იგი გარდაიცვალა.

გაგრძელება A5 გვერდზე

## მთავრობის ხანგრძლივი სხდომა, გადაწყვეტილებების გარეშე

*მთავრობამ გუშინ არც თავი დაზოგა, არც დრო და დილის 11 საათიდან საღამოს 5 საათამდე მუხლჩაუხრელად... ითათბირა.*

თამარ ხორბალაძე

### პრეზიდენტმა კირვალიძეს ერთი კვირა მისცა

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის საკითხს ედუარდ შევარდნაძე ერთ კვირაში გადაწყვეტს, როდესაც მისი დავალებით კონტროლის პალატა და სხვა მაკონტროლებელი ორგანოები პურზე ფასების მომატების მიზეზებს დაადგენენ.

მთავრობის სხდომაზე ედუარდ შევარდნაძემ ეს დავალება მაკონტროლებლებზე მას შემდეგ გასცა, რაც სხდომაზევე, საპარლამენტო ფრაქცია "ალიანსი ახალი საქართველოსათვის" ლიდერის ირაკლი გოგავას მიერ პურის წონის "განზრახ" დაკლებასა და პურზე ფასების მომატებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაცია მოისმინა.

**"ყველაზე მეტად საშიშია ის, როდესაც დასაშვები ხდება პრეზიდენტისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება. ტყუილს არავის ვაპატიებ!"** – ცხარობდა გუშინ პრეზიდენტი.

პრეზიდენტის ამ განცხადების გაჟღერებამდე სხდომაზე გამოსულმა კირვალიძემ კატეგორიულად უარყო გოგავას ბრალდებები, სხდომის დასრულების შემდეგ კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მის წინააღმდეგ "ალიანსის" კამპანიას **"პოლიტიკური სუნი უდის".**

### შევარდნაძე მთავრობას ისევ ემუქრება

სსფ-სთან შეთანხმებული ვალდებულებების და ბიუჯეტის ტრადიციული ვერშესრულება მთავრობაში ისევ პასუხისმგებლობის თემის წამოჭრის საფუძველი ხდება. დღეს ყველა დარწმუნებულია, რომ არჩევნებამდე სამიოდე თვით ადრე პრეზიდენტი აღმასრულებელ ხელისუფლებას არ შეცვლის, თუმცა ედუარდ შევარდნაძე, ასევე ტრადიციულად, საზოგადოების დასანახად, მთავრობას თითს უქნევს.

ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, სეკვესტრის თემა, ერთხელ და სამუდამოდ, უნდა მოისპოს. მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტის შენიშვნა მოულოდნელად ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმაც დაიმსახურა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## უდაი და ქუსაი ჰუსეინების ლიკვიდაცია დასრულებულია

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ ცნობილი გახდა ერაყში სამშაბათს საღამოს ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგები. დამხობილი დიქტატორის სადამ ჰუსეინის ვაჟები – უდაი და ქუსაი მოკლულნი არიან. ქალაქ მოსულში ჩატარებული ოპერაციის დეტალების გამოქვეყნებას აშშ-ს სამხედრო ხელმძღვანელობა უახლოეს მომავალში აპირებს. ერთადერთი, რაც დღეისათვის ამ ოპერაციის შესახებ ცნობილია, არის ის, რომ უდაი და ქუსაი ჰუსეინების ადგილსამყოფელის დადგენის შემდეგ, კოალიციის სპეცრაზმმა შენობა ალყაში მოაქცია. ოპერაცია 6 საათი გრძელდებოდა. შენობაში მყოფებმა ამერიკელებს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს. უდაი და ქუსაი ჰუსეინებთან ერთად დაღუპულია ერთი მოზარდი - სავარაუდოდ სადამის შვილიშვილი და ერთი მამაკაცი - სავარაუდოდ ერთ-ერთი ძმის მცველი. ცნობილი გახდა ისიც, რომ კოალიციის სარდლობამ ინფორმაცია მათი ადგილსამყოფელის შესახებ საზოგადოებისათვის უცნობი ერაყელისგან მიიღო. ზოგიერთი საინფორმაციო საშუალების თქმით, ინფორმატორს უკვე გადაეცა დაპირებული ჯილდო – 30 მილიონი ამერიკული დოლარი. ის ამჟამად ამერიკელების გაძლიერებული დაცვის ქვეშ საიდუმლო ადგილას იმყოფება.

ძმები ჰუსეინების გვამები გუშინ ბაღდადის აეროპორტში გადაასვენეს, საიდანაც აშშ-ში ჩაიტანენ. კოალიციის სარდლობას ჯერ არ გადაუწყვეტია, უჩვენონ თუ არა ჟურნალისტებს მოკლული ჰუსეინების გვამები. ამერიკელები ასევე ფიქრობენ, თუ როგორ დაუმტკიცონ ერაყელებს სადამის ვაჟების ლიკვიდაციის ფაქტი, რადგან სავარაუდოა, რომ მრავალმა ერაყელმა ეს არც კი დაიჯეროს. ამერიკელმა გენერალმა რიკარდო სანჩესმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უდაის და ქუსაის იდენტიფიცირება რამდენიმე წყაროს გამოყენებით მოხდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

## მოკლედ

### მოშიმშილე "ნაციონალებს" შორის ყველაზე საგანგაშოდ დეპუტატ ლადო ჭიპაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეფასდა

იუსტიციის სამინისტროს შენობაში მოშიმშილე "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლების ჯანმრთელობის მდგომარეობას ექიმი დოდო ნაფეტვარიძე საგანგაშოს უწოდებს. შიმშილობის მერვე დღეს ნაფეტვარიძე მათი მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას ელის. როგორც მან განაცხადა, მოშიმშილე დეპუტატებს ძლიერი სისუსტე და თავბრუსხვევა აღენიშნებათ, დაფიქსირდა სისხლში შაქრის დაბალი შემცველობა და არტერიული წნევის დაბალი მაჩვენებელი. კობა დავითაშვილს ბრადიკარდია განუვითარდა, სხვა მოშიმშილეებს კი, ტახიკარდია აწუხებთ. ნაფეტვარიძემ ყველაზე საგანგაშოდ დეპუტატ ლადო ჭიპაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მიიჩნია. "ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატია იუსტიციის სამინისტროს შენობაში მერვე დღეა, შიმშილობს. ისინი გაყინული პენსიების გაცემას ითხოვენ. **ინტერ-პრესი**

### იუსტიციის სამინისტროსთან სოლიდარობის აქციის მონაწილენი პროტესტის უკიდურესი ფორმებით იმუქრებიან

"კარგი იქნებოდა, მიხეილ სააკაშვილიც შეერთებოდა სოლიდარობის აქციას," — აცხადებენ იუსტიციის სამინისტროსთან შეკრებილი პენსიონერები. მე-5 დღეა, გრძელდება სოლიდარობის აქცია მოშიმშილე პარლამენტართა მხარდასაჭერად, რომლებიც ითხოვენ სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებას პენსიონერთა დავალიანების დაფარვის შესახებ. აქციის მონაწილეთა რაოდენობა გუშინ გაიზარდა. პენსიონერთა თქმით, თუ ხელისუფლება მათ მოთხოვნებს ორ დღეში არ დააკმაყოფილებს, ისინი პროტესტის უკიდურეს ფორმებს მიმართავენ და აქცია უფრო მასობრივი გახდება. აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ დეპუტატების მიერ შიმშილობით გამოხატული პროტესტი არ შეიძლება წინასაარჩევნო პიარად ჩაითვალოს, რადგან ისინი პენსიონერთა ინტერესებს უკვე წელიწადნახევარია იცავენ. **მედია-ნიუსი**

### გალის რაიონს გაერო-ს 20 სპეციალისტი და ინსტრუქტორი ეწვევა

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე და პუტინის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტში ვალერი ლოშჩინინი ჟენევაში გამართულ შეხვედრას "სწორი მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯს" უწოდებს და აცხადებს, რომ ეს შეხვედრა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის განმუხტვის წინაპირობა გახდება. ჟენევაში გამართულ შეხვედრას ხელმძღვანელობდა გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილე სამშვიდობო ოპერაციების საკითხში ჟან-მარი გეენო. შეხვედრაში მონაწილეობდნენ, საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი ჰაიდი ტალიავინი, რუსული, ქართული და აფხაზური მხარეები.

განიხილეს დევნილთა დაბრუნების საკითხი, უპირველეს ყოვლისა - გალის რაიონში; აგრეთვე - სოჭი-თბილისის მიმართულებით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის და კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის, ენგურჰესზე სარემონტო სამუშაოების შესრულების საკითხები. ვალერი ლოშჩინინმა "ნოვოსტისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ შეხვედრაზე ქართული და აფხაზური დელეგაციების გამოსვლაც კონსტრუქციული იყო.

"შეხვედრა გამოდგა საქმიანი და გონიერი, ოპონენტთა ყოველგვარი მწვავე გამოსვლების გარეშე. ჩვენ დღეს ხელი მოვკიდეთ იმ პროექტების განხორციელებას, რომელიც შესაძლებელს გახდის აფხაზეთის კონფლიქტის ფართომასშტაბიან გადაწყვეტას," - აცხადებს ლოშჩინინი. მისივე ინფორმაციით, გაერო-ს როლი კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში უფრო გააქტიურდება. სულ მალე გალის რაიონში ჩავა გაერო-ს 20 სპეციალისტი და ინსტრუქტორი, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად უსაფრთხოების მექანიზმებზე იმუშავებენ, ისინი აგრეთვე ხელს შეუწყობენ დაპირისპირებულ მხარეთა მომავალ თანამშრომლობას სამართლებრივ სფეროში. **მედია-ნიუსი**

### ვლადისლავ არძინბა სოხუმში დაბრუნდება

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ლიდერი ვლადისლავ არძინბა, რომელიც 30 ივნისიდან მოსკოვში მკურნალობს, სოხუმში ახლო მომავალში დაბრუნდება.

ამის შესახებ აცნობა პრაიმ-ნიუსს აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ, რომელიც დღეისათვის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მეთაურის მოვალეობას ასრულებს.

მისი თქმით, ვლადისლავ არძინბას ჯანმრთელობის მდგომარეობა "სტაბილურია", ხოლო სამკურნალო კურსი "ნორმალურად მიმდინარეობს".

ვალერი არშბას ინფორმაციით, ვლადისლავ არძინბას ყოველდღიურად ტელეფონით ესაუბრება. ორმოცდათვრამეტი წლის არძინბას უკვე მესამე წელია, სისხლძარღვთა სისტემა აწუხებს და პერიოდულად მოსკოვში მკურნალობს. სოხუმში ოპოზიცია თანამდებობიდან მის ვადამდელ გადაყენებას მოითხოვს. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მეთაურის არჩევნები 2004 წელსაა დანიშნული. **პრაიმ-ნიუსი**

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

არჩევნების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში

აცხადებს კონკურსს

2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლების მიზნით კულტურული და სპორტული ღონისძიებების

ორგანიზების ხელშეწყობაზე

კონკურსის მიზანია:

კონკურსის მიზანია სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზებით ინოვაციური და ორიგინალური მეთოდების გამოყენებით არჩევნებში მონაწილეობის იდეის პოპულარიზაცია და საარჩევნო განათლების გაერცელება. კონკურსში გამარჯვებული პროექტების ფარგლებში დაუშვებელია რომელიმე პარტიისა თუ კანდიდატის ღონისძიების ჩატარება.

კონკურსში მონაწილეობა:

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ რეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებს.

კონკურსზე პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2003 წლის 31 ივლისი, 17:00 საათი.

კონსულტაციები გაიმართება 18 და 23 ივლისს, 14.00 საათზე ფონდის ოფისში შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭოველიძის ქუჩა №10.

ჭოველიძის 10 , თბილისი 0108
ტელ: (+995 32) 25 05 92/93
ფაქსი: (+995 32) 29 10 52

E-mail: kartuli@osgf.ge

# გიმღეროი, ნანავ-და, სკანი ჭირიმა!

## ლაზური კულტურის საღამო ოპერის თეატრში

ზაზა ფაჩუაშვილი

*კოლხური კულტურის საერთაშორისო ცენტრმა, ოპერისა და ბალეტის თეატრში, ლაზური ფოლკლორის შემოქმედებითი საღამო მოაწყო, რომელსაც უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დაესწრო. ქვეყნის სახელგანთქმულ ანსამბლებთან, შემსრულებლებთან და ლექსის მთქმელებთან ერთად კონცერტში თურქეთიდან ჩამოსული ლაზებიც მონაწილეობდნენ. იყო ტაში, აღტაცებული შეძახილები და ცრემლი.*

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*ოპერის სცენიდან ლაზური მუსიკა იღვრებოდა.*

- აეე, რა ლამაზიაა! – აღმოხდა დანაჩოქარ ზურაბ ქაფიანიძეს, როცა სცენაზე აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ამაყობდა. რამდენიმე წუთის წინათ კი თვითონ მასაც ერგო მქუხარე ტაში სიტყვისათვის: **"როგორც ცეცხლზე შემომდგარ რძეს უნდა მიხედვა, ისე უნდა მოვლა ქართულ-ლაზურ ერთობას, დღევანდელ დღეს და ხიდობას. ლაზების გასაგონად ვამბობ, თუ რამე შევცოდეთ ქართველებმა, ბოდიშს ვიხდი და ამ სიტყვებით დავიჩოქებ, არავის წინაშე რომ არ დამიჩოქია!"** - და მსახიობმა მუხლი მოიყარა.

გუშინ ყველა ეფერებოდა და ნანას უმღეროდა ლაზურ ფოლკლორს, თითქოს მისი ხელმეორედ გაზრდა სურთო. ამ საქმეში თავისი განუმეორებელი წვლილი თურქეთიდან ჩამოსულმა ლაზებმაც შეიტანეს, რომლებმაც უძველეს საკრავებზე შეასრულეს ლაზური სიმღერები. მერე რუსთავთან ერთადაც იმღერეს და ასე შემოჰკრეს სილა ისტორიის უკუღმართობას. აკი გამოითქვა კიდეც წუხილი იმის გამო, რომ ქართველები თურქეთში ჩარჩენილ ჩვენს მოდგმას თარჯიმნის გარეშე ვერ ველაპარაკებით. თუმცა სიმღერას რა თარჯიმანი უნდა, მითუმეტეს რომ "დიდოუ, ნანა!" არც იმათ დავიწყნიათ და არც ჩვენ.

**"ჩვენ, მუსიკოსები მისხალ-მისხალ ვაგროვებთ ქართულ ფოლკლორულ თითოეულ სიტყვას და ძალიან კარგად ვიცნობთ კოლხური კულტურის პირდაპირი შთამომავლის, მეგრული ფოლკლორის ნიმუშებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ცუდად ვიცნობთ ლაზურ ფოლკლორს. არ გვქონდა თურქეთში მცხოვრებ ჩვენს ძმებთან ურთიერთობის საშუალება, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა და ჩვენ მოვაწყობთ ლაზეთში საველე–მეცნიერულ გასვლებს და იმედი მაქვს, რომ დანაკლისსაც შევავსებთ,"** – ბრძანა კონსერვატორიის ფოლკლორული ანსამბლის ხელმძღვანელმა კუკური ჭოხონელიძემ.

კოლხური კულტურის საერთაშორისო ცენტრის მიზნების შესახებ ისაუბრა საქართველოს სპიკრაციის სპიკერმა გიორგი ანდრიაძემ. ეს არის კოლხური კულტურის საფუძვლიანი შესწავლა. ამ საქმეში ცენტრი უცხოეთში შექმნილ ანალოგიურ ლაზურ ცენტრებსაც დაეხმარება.

ასეთი მოკლე სიტყვების შემდეგ სცენაზე ისევ "ცეცხლი" ინთებოდა. მოცეკვავენი და მომღერალნი ერთმანეთს ისე შემართებით ენაცვლებოდნენ, თითქოს ეჯიბრებიანო - "რუსთავი", "ბასიანი", "კელაპტარი", წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდი, სარფის ქალთა ტრიო, გურამ საღარაძე, მურმან ჯინორია, თიკა ჯამბურია, პოეტი იაშა თანდილავა და, რაღა თქმა უნდა, სტუმარი ლაზები, ცრემლი რომ ადინეს ხალხს. ამით განსაკუთრებით ახალგაზრდა ლაზი კაზიმ კოინჯი გამოირჩეოდა, რომელმაც "რუსთავის" ბანით "ჩონგური" შეასრულა. თანაც ეს ბოლოს მოხდა და პროგრამით გათვალისწინებული არც ყოფილა. დასასრულ, ყველამ ერთად რომ შეასრულა "ჩაკრულო" და ზურაბ ქაფიანიძეს კვლავ დარბაზის გასაგონად აღმოხდა, რა კარგიაო, სცენაზე კაზიმ ლაზი ავიდა. რიგრიგობით მოუხარა ქედი შემსრულებლებს, მსმენელს, მერე მიკროფონი მოიმარჯვა და დაიწყო. ჰოუ, ნანა, დიდოუ, ნანაო, მღეროდა "ჩაკრულოს" შემსრულებლებით ხმაგამაგრებული ლაზი! იმღერა და თავისი მოდგმის მწყობრში ჩადგა.

ასე დამთავრდებოდა საღამო, სცენაზე ორი ქალბატონი რომ არ ასულიყო. ერთმა, სრულიად უცნობმა, მომღერალ ლაზს სახალხოდ გადაუხადა მადლობა; მეორემ კი, "საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს" თავმჯდომარემ, ქალბატონმა ია ბაგრატიონ-მუხრანელმა ლაზი სტუმრები ბაგრატოვანთა სამეფო გვირგვინიანი სიგელებით დააჯილდოვა.

ისეთი იმედიანი იყო გუშინდელი საღამო, კაცი ინატრებდა, ნეტავ ის მადლმოსილება, რასაც სცენაზე ვაჩვენებთ ქართველები, ცოტა გულითაც გვეტარებინაო. გავასამოთხებდით ქვეყანას!

# ალიევის შვილიშვილის ქორწილი - ქართული შოუ-ბიზნესით დამშვენებული

სააგენტო "ექსპრესისთვის" ცნობილი გახდა, რომ ქართული შოუ-ბიზნესის ელიტური შემადგენლობა 24 ივლისს ბაქოში მიემგზავრება. აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის შვილიშვილს ფატიკ ალიევს გაბედნიერებას ჩვენი მომღერლები და მსახიობებიც მიულოცავენ. თუმცა, ამ ინფორმაციას რატომღაც არ ახმაურებენ. "ექსპრესი" არტ-იმედის საზოგადოებასთან ურთიერთობის კურატორს მაია დათუნაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ ეს მომღერლების პირადი სტუმრობაა ბაქოში და არტ-იმედის შემოქმედებით პროექტებთან კავშირი არ გააჩნია. შემდეგი ზარი დავით გომართელთან გაისმა. არც გომართელს უნდოდა ამ ფაქტის გახმაურება, თუმცა შემდეგ... მომღერალმა გამგზავრების თარიღი თავად შეგვისწორა და აღნიშნა, რომ ბაქოს 25 ივლისს საღამოს ეწვევიან. როგორც გაირკვა, "ფორტეს" და გომართელს საქართველოს ნავთობკორპორაციის პრეზიდენტი გია ჭანტურიაც დაუმშვენებს გვერდს. დავით გომართელმა არც ის დამალა, რომ იგი ჰეიდარ ალიევის შვილმა, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკორპორაციის პრეზიდენტმა ნატიკ ალიევმა დაპატიჟა. გომართელის თქმით, ქორწილში ახალ, აზერბაიჯანულ სიმღერას "აგენტი 0013" შეასრულებენ და, სავარაუდოდ, რამდენიმე ქართულ და რუსულ სიმღერასაც შემოსძახებენ. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს მათი საჩუქარი იქნება. თუმცა სტუმრები, ალბათ, მარტო... "ყველამშვენებულები" არ ჩავლენ... "ექსპრესი" არტ-იმედის ხალხური შემოქმედების პროდიუსერს ეკა ჯორჯაძესაც დაუკავშირდა. მან ის კი დაადასტურა, რომ ბაქოში გამგზავრებაზე ლაპარაკი ნამდვილად იყო, თუმცა, ვინ და როდის მიემგზავრება, ამის შესახებ არაფერი ნამოსცდენია. დაუდასტურებელი ინფორმაციით, ბაქოს ლელა წურწუმია და არტ-იმედის აღმასრულებელი დირექტორიც ეწვევა, მაგრამ მათთან დაკავშირება არ მოხერხდა.

საინტერესოა, რატომ მალავდნენ ამ ფაქტს ასე საგულდაგულოდ? ვინ და რამდენიც არ უნდა მიდიოდეს ამ ძვირადღირებულ ქორწილში, მხოლოდ კეთილ მგზავრობასა და კარგ დროსტარებას ვუსურვებთ.

**ექსპრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე 25 ივლისს სამდღიანი ვიზიტით თურქეთში გაემგზავრება, სადაც ტაო-კლარჯეთის უძველეს ძეგლებს მოინახულებს. ვიზიტის დროს ნინო ბურჯანაძე ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდება. პარლამენტის თავმჯდომარე თურქეთში ავტომანქანით გაემგზავრება და თბილისში 28 ივლისს დაბრუნდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო ივლისის ბოლომდე რუსეთის საზღვართან ჩეჩნეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის მიმართულებით ორ ახალ საგუშაგოს გახსნის.

ამის შესახებ განაცხადა საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა შალვა ლონდარიძემ.

მისი თქმით, ამგვარად ჩრდილოეთ საზღვრის განმტკიცებასთან დაკავშირებული ოპერაციები დასრულდება, რომელიც უღელტეხილების გახსნის გამო და შესაბამისად ბოევიკთა გადმოსვლის თავიდან ასაცილებლად ხორციელდება. ამ ოპერაციისას 10 ახალი საგუშაგო გაიხსნა, ხოლო 5 ძველი გაძლიერდა, - აღნიშნა ლონდარიძემ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ამხანაგობა ახალი მენეჯმენტი" ს/ს "თბილგაზში" 10-ნლიანი მართვის უფლებით, სავარაუდოდ, ორ კვირაში შევა. ამის შესახებ თბილისის საკრებულოს სათბობ-ენერგეტიკის კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ მინდელმა განაცხადა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭო 9 სექტემბერს ვაშინგტონში საქართველოს დახმარების სამწლიან სტრატეგიას განიხილავს, რომელიც მთავრობაში მომზადებული "ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის" 12-წლიანი პროგრამის შემადგენელი ნაწილი იქნება. სსფ-ს აღნიშნული სამწლიანი სტრატეგია 466 მილიონი აშშ დოლარის დახმარებას ითვალისწინებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** გუშინ 500-მდე პენსიონერმა წაღენჯიხის რაიონის სოფელ კაშხალთან ზუგდიდი-მესტიის ცენტრალური ავტომაგისტრალი გადაკეტა. ისინი დაგროვილი საპენსიო დავალიანების გასტუმრებას მოითხოვდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოსახლეობისგან მიღებული შეტყობინების საფუძველზე, რომლის თანახმადაც, თბილისის ბაზრებსა და მაღაზიებში უხარისხო, ვადაგასული კვერცხი იყიდება, "საქსტანდარტმა" კვერცხის ხარისხის შემოწმება დაიწყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მერიის გარემოს დაცვის სამსახურის უფროსის ზურაბ ადამიას განცხადებით, შენობები ეკოლოგიისა და გამწვანების ზოლის გათვალისწინების გარეშე აღარც დაპროექტდება და აღარც აშენდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ გამართულ რიგგარეშე სხდომაზე პარლამენტმა ერთხმად მიიღო საკონსტიტუციო ცვლილება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 9-კლასიან სავალდებულო სწავლებასთან დაკავშირებით. **პრაიმ-ნიუსი**

# რუსთავის მეტალურგიის მომავალი კვლავ გაურკვეველია

## მამალაძე სასამართლოს თითს უქნევს, სასამართლო კი "მეტალურგია-კილიგარდის" საქმეს განუხილველად ტოვებს

მაია მოსიაშვილი

გუშინ დღის 2 საათზე რუსთავის საქალაქო სასამართლოში მეტალურგიულ კომბინატსა და მის კრედიტორს, "კილიგარდ ინვესტმენტს" შორის წარმოშობილი დავა უნდა განხილულიყო. მოსარჩელე კრედიტორი შპს "რუსთავი მილის" რეგისტრაციის გაუქმებასა და "არესთან" საწესდებო კაპიტალის წილის დათმობაზე დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობას ითხოვდა. პირველი სხდომა, რომელიც 8 ივლისს უნდა ჩატარებულიყო, "კილიგარდის" წარმომადგენლის ავადმყოფობის გამო გადაიდო. გუშინდელი სხდომის ჩაშლაში კი ორივე მხარეს თანაბარი წილი მიუძღვის - ისინი სასამართლოში თითქმის ნახევარსაათიანი დაგვიანებით გამოცხადდნენ.

**"რადგან მხარეებმა ოც წუთზე მეტი ხნით დააგვიანეს პროცესზე, სასამართლომ გადაწყვიტა სარჩელი განხილვის გარეშე დატოვოს,"** - ასეთი იყო მოსამართლე მუმლაძის ვერდიქტი. "კილიგარდის" ადვოკატი კახა შარაბიძე შეეცადა დაგვიანების ობიექტურ მიზეზებზე მიენიშნებინა მისთვის, თუმცა მოსამართლემ მათი გათვალისწინება არ ისურვა.

მოსარჩელეს კანონით უფლება აქვს, იგივე სარჩელი 12 დღის ვადაში კვლავ შეიტანოს სასამართლოში. **"აუცილებლად გავასაჩივრებთ დღევანდელ დადგენილებას, რადგან ჩვენ პროცესზე დროულად არგამოცხადების საპატიოზე საპატიო მიზეზი გვქონდა. ზუსტად იგივე მხარეები ვიყავით საოლქო სასამართლოში, იმის გამო, რომ იქ პროცესი გვიან დაიწყო. ოდნავ დავაგვიანეთ, მაგრამ სამის ოც წუთზე აქ ვიყავით,"** - განაცხადა კახა შარაბიძემ. მისივე თქმით, მათ წინასწარ დაურეკეს მოსამართლეს და აცნობეს, რომ ოდნავ დააგვიანდებოდათ. იგივეს იმეორებს მეტალურგიული კომბინატის ადვოკატიც: **"მიმაჩნია, რომ მოსამართლე ასეთი კატეგორიული არ უნდა ყოფილიყო, რადგან მან იცოდა, სადაც ვიმყოფებოდით და შეეძლო, რამდენიმე წუთით გადაეწია პროცესი. ორი-სამი წუთით გადავაცილეთ, რადგან საოლქოდან აქამდე 40 კილომეტრია და შეუძლებელი იყო მოსწრება."**

განაახლებს თუ არა რუსთავის სასამართლო მეტალურგიული კომბინატის საქმეს და ვის აწყობს დროის მაქსიმალურად გაწელვა, უახლოეს დღეებში გაირკვევა. ამასთან, გარკვეული მინიშნებები, მოვლენების შესაძლო განვითარებაზე, უკვე არსებობს.

ორიოდე დღის წინ ქვემო ქართლის გუბერნატორმა ლევან მამალაძემ, რომელიც მთლიანად იზიარებს კომბინატის ხელმძღვანელობის პოზიციას, სასამართლოს მისამართით კატეგორიული განცხადებები გააკეთა. **"იმის გამო, რომ ინვესტორი არ რეგისტრირდება სასამართლოში, ვიღაც მომჩივანები გამოჩნდნენ. გამოდის, რომ ქარხნის ამუშავება გაურკვეველი დროით გადაიდება. ვინ არიან ის მოსამართლეები, რომლებიც ხელს უშლიან ჩვეულებრივი ორგანიზაციის რეგისტრაციას და რა ხდება საერთოდ რუსთავის სასამართლოში. მომეცით დასკვნა და ეს ინფორმაცია მთავრობის სხდომაზეც უნდა წარვადგინოთ და იუსტიციის საბჭოსაც უნდა გადავცეთ. ამის უკან შეიძლება ვიღაცის პოლიტიკური დაკვეთაც იმალება,"** - ლევან მამალაძემ იმის გარკვევა, თუ რა ხდება სასამართლოში, და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა თავის პირველ მოადგილეს დაავალა. ასე რომ, გამორიცხული არ არის, სანამ სასამართლოში პროცესები იწყება, მამალაძემ იტალიელ ინვესტორებს პრეზიდენტთან ულობისტოს და ასეთნაირად საქმეც მოგვარდეს.

# ევროკავშირის სამხედრო ძალები შესაძლოა, პოსტსაბჭოთა კონფლიქტებში გამოჩნდნენ

ვირველი გვერდიდან

თამაზ ნადარეიშვილს და აფხაზეთის დევნილ ხელისუფლებას, 11-წლიანი უშედეგო მოლოდინის შემდეგ, კვლავ გაუჩნდა იმედი, რომ გაერო, ბოლოს და ბოლოს, აამოქმედებს მშვიდობის ძალისმიერი მეთოდით დამყარების ბერკეტს, რის შემდეგაც საქართველოს მეგობარი ქვეყნები აიძულებენ აფხაზ სეპარატისტებს, დათანხმდნენ ე.წ ბოდენის დოკუმენტის ფარგლებში შეთავაზებულ თვითგამორკვევის ვარიანტს.

პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეც ხომ ამასვე ამტკიცებდა, როცა განაცხადა, რომ იცვლება მსოფლიო საზოგადოების მიდგომა ე.წ. გაყინული კონფლიქტების მიმართ და მოლდოვას შემდეგ, აფხაზეთის საკითხიც დადგებაო.

მართლაც, საიდან გაჩნდა მოლდოვას ხსენება ამ კონტექსტში და რა ძალა შეიძლება ჩაიზიაროს რუსეთმა სამშვიდობო მისიით პოსტსაბჭოთა სივრცეზე?

**"რაც შეეხება დნესტრისპირეთს, აქ იყო განცხადება ხავიერ სოლანას მიერ, რომ ევროკავშირის ეგიდით ამზადებენ სამშვიდობო ბატალიონებს, რომლებიც მოწოდებულნი იქნებიან, დაამყარონ მშვიდობა ევროპის მთელ კონტინენტზე, მათ შორის საქართველოშიც. პირველ ეტაპად კი ჩაფიქრებულია დნესტრისპირეთი, სადაც რუსეთის სამშვიდობო ძალების ნაცვლად უნდა შევიდნენ ევროკავშირის სამხედრო შენაერთები; შემდეგი ეტაპი კი აფხაზეთია და, ალბათ, ამას გულისხმობდა საქართველოს პრეზიდენტი",** - განაცხადა ჩვენთან საუბარში აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების ლიდერმა თამაზ ნადარეიშვილმა.

ცნობისთვის: პირველი მისია ევროკავშირის სამხედრო ძალებმა მიმდინარე წლის მარტში განახორციელა, როცა 300-მდე მშვიდობისდამცველი გაგზავნა მაკედონიაში. ევროპის კავშირის ახლანდელი და მომავალი წევრი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებისგან შემდგარი ამ შენაერთის ამოცანაა, მაკედონიის ხელისუფლებას დაუდასტუროს საერთაშორისო თანამეგობრობის სწრაფვა, ხელი შეუწყოს მშვიდობის დამკვიდრებას ქვეყანაში, სადაც ორიოდე წლის წინათ შეიარაღებული შეტაკებები ხდებოდა სამთავრობო ჯარებსა და ეთნიკურ ალბანელებს შორის.

მაკედონიის მისიას ივნისში სრულიად მოულოდნელად მოჰყვა ახალი ამოცანა: ევროკავშირის სამხედრო შენაერთი გაიგზავნა აფრიკაში, კერძოდ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც სამოქალაქო ომი მძვინვარებს. ჩრდილო-აღმოსავლეთი კონგოს ქალაქ ბუნიაში განთავსებულ სამშვიდობო შენაერთს საფრანგეთი უდგას სათავეში. საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის კოორდინატორი ხავიერ სოლანა ახლა ცდილობს, გაერო ევროპელ მშვიდობისდამცველთა მანდატის გაფართოებაზე დაიყოლიოს, რაც, ექსპერტთა აზრით, ხელს შეუწყობდა ძალადობის აღკვეთას.

სამხედრო ექსპერტის, ევროპის პოლიტიკის კვლევითი ცენტრის თანამშრომლის მარკ უბენის აზრით, ჯერჯერობით ნაადრევია ევროკავშირის სამხედრო ძალების რაიმე წარმატებებზე საუბარი: **"მაგალითად, კონგოში მიმდინარე ოპერაცია გახლავთ ოპერაცია, რომელსაც ძირითადად ფრანგები ახორციელებენ. მართალია, მას მწვანე შუქი ევროპის კავშირმა აუნთო, მაგრამ როცა საქმე სამეთაურო საქმიანობასა და კონტროლს ეხება, პრეროგატივა ფრანგებს ეკუთვნით. რაც შეეხება მაკედონიის ოპერაციას, მისი მასშტაბი მოკრძალებულია. თუმცა, ცხადია, იგი უდავოდ მნიშვნელოვანია, როგორც ნიშანი, ტენდენცია."**

აღსანიშნავია, რომ ხავიერ სოლანას გარდა, ევროკავშირის სამშვიდობო კონტინგენტის დნესტრისპირეთში გამოყენებას მხარს უჭერს ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე ქვეყანა, ჰოლანდიაც. სავარაუდოდ, ჰოლანდიის წინადადების განხილვა ევროკავშირის პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტმა 22 ივლისს დაიწყო, თუმცა, როგორც ამ კომიტეტის თავმჯდომარემ მაურიციო მელანიმ ჟურნალისტებს განუცხადა, სულაც არ არის აუცილებელი, გადაწყვეტილება იმავე დღეს იქნას მიღებული. თანაც, როგორც ირკვევა, ევროკავშირისთვის სულერთი არ არის ის ფაქტი, რომ რუსეთს მოლდოვაში "გარკვეული ინტერესები" აქვს. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ თუკი პროცესები და ევროკავშირის სამშვიდობო ძალების გეოგრაფია ასეთი ტემპით განვითარდა, ამ ინტერესებზე რუსეთს, ადრე თუ გვიან, მაინც მოუწევს ხელის აღება.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## მოკლედ

### ავარია "ქართლი-2"-ზე

გუშინ 13 საათზე ავარიულად გამოირთო საქართველოს ენერგოსისტემის ერთ-ერთი მაგისტრალური, 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი "ქართლი-2", რომელიც "საქრუსენერგოს" ეკუთვნის. ზესტაფონის მახლობლად მომხდარი ავარიის შედეგად, ენერგოსისტემა მთლიანად გაითიშა, გამოირთო ენგურჰესის აგრეგატები და მთელი ქვეყნის მასშტაბით ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს, მათ შორის - საავადმყოფოებსა და თბილისის მეტროპოლიტენს.

ენგურჰესის აგრეგატების გასაშვებად და სისტემის აღსადგენად საჭირო ძაბვა საქართველომ რუსეთიდან, "რაო ეეს როსიისგან" მიიღო. ავარიიდან ერთ საათში აღდგა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების ელექტროკვება, მოგვიანებით კი ენერგოსისტემა მუშაობის ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდა.

"სახელმწიფო ელექტროსისტემაში" ავარიის მიზეზად მოკლე ჩართვას ასახელებენ. როგორც ელექტროსისტემის აღმასრულებელმა დირექტორმა ვახტანგ ბეგიაშვილმა "24 საათს" აცნობა, ხაზზე ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარება საჭირო არ გამხდარა: **"ხაზი პირველივე მცდელობაზე ჩაირთო."**

საობობ-ენერგეტიკის სამინისტრომ და "სახელმწიფო ელექტროსისტემამ" უარყვეს გავრცელებული ინფორმაცია, რომ ავარია დივერსიამ გამოიწვია.

### სისხლიანი შეტაკება მუმლაანთკარში

გუშინ, დაახლოებით დილის 7 საათზე, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში პოლიციელებსა და კრიმინალს შორის კიდევ ერთი შეიარაღებული შეტაკება მოხდა, რომელიც მსხვერპლით დასრულდა.

როგორც შიდა ქართლის რეგიონის პოლიციის უფროსმა, ალეკო სუბიტაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, პოლიციაში ინფორმაცია შევიდა, რომ გორის რაიონის სოფელ მუმლაანთკარში, საკუთარ სახლში იმყოფებოდა ყაჩაღობისთვის და სხვა მძიმე დანაშაულისთვის ძებნილი, ცხინვალში მცხოვრები ნოდარ ბიჩინოვი. ეჭვმიტანილის დასაკავებლად დანიშნულ ადგილზე რეგიონის 12 პოლიციელი გავიდა, მაგრამ ბიჩინოვი სამართალდამცველებს არ დანებდა და "აკმ"-ის სისტემის ავტომატიდან ცეცხლი გახსნა. სროლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა ორი პოლიციელი - კახაბერ აბულაძე და თენგიზ ელუაშვილი. ორი პოლიციელი - რევაზ ქარელი და გელა ცაცქალამანიძე კი მძიმედ დაიჭრა. რაც შეეხება ნოდარ ბიჩინოვს, პოლიციამ მისი ცოცხლად აყვანა ვერ მოახერხა და მისი ლიკვიდაცია საკუთარ სახლშივე მოხდა.

ეჭვმიტანილის ბინის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა იპოვეს ავტომატი, 250 საბრძოლო ვაზნა, ნიღაბი და სამხედრო ფორმა, რომლითაც, სავარდაუდოდ, ბიჩინოვს, ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, სხვადასხვა დანაშაული ჰქონდა ჩადენილი.

გავრცელებული ინფორმაციით, ნოდარ ბიჩინოვი ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის უფროსის, ალან ძიგოევის (რომელიც მუხრან ბაგრატიონის შვილის, თეონა ბაგრატიონის გატაცებაშია ბრალდებული) ჯგუფის წევრი იყო. სხვათა შორის, ბიჩინოვი ცხინვალში სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობდა, მაგრამ, სარწმუნო წყაროს ცნობით, ცოტა ხნის წინ მასზე ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამართალდამცველებმა ძებნა გამოაცხადეს, რის გამოც ბიჩინოვმა დატოვა ცხინვალი და თავი მუმლაანთკარს შეაფარა. არაოფიციალური ინფორმაციით, ბიჩინოვი ეჭვმიტანილი იყო ერთი კვირის წინ კონფლიქტის ზონაში მომხდარ ქართლოს მიდელაშვილის მკვლელობაშიც.

ბიჩინოვის დაპატიმრების ოპერაციისას დაჭრილ პოლიციელებს გორის საავადმყოფოში ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ ამ დროისთვის მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ მძიმეა.

### სოხუმში პარტიზანთა გააქტიურებას ელოდებიან

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ ოთხშაბათს განაცხადა, რომ თბილისის წინადადება კონფლიქტის ზონაში გაერო-ს წესდების მეშვიდე პუნქტის ამოქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც მშვიდობისათვის იძულებას ითვალისწინებს, "მოლაპარაკებათა პროცესს ჩაშლისათვის სწირავს".

"ყველაზე საწყენი და გაუგებარი ამაში ისაა, რომ ასეთი განცხადებები მარტში, სოჭში საქართველო-რუსეთის პრეზიდენტთა მიერ მიღწეულ შეთანხმებათა რეალიზაციისათვის მიმდინარე მოლაპარაკებებისა და "გაერო-ს გენმდივნის საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის" გააქტიურების ფონზე კეთდება," - განაცხადა მან.

ვიცე-პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ "არანაირი საფუძველი არ არსებობს გაერო-ს ამ პუნქტის ასამოქმედებლად, რამდენადაც სამხედრო მოქმედებები არ მიმდინარეობს და მშვიდობიან მოსახლეობას არაფერი ემუქრება".

ვალერი არშბამ არ გამორიცხა, რომ "საქართველოს საომარ რიტორიკას პარტიზანთა გააქტიურება მოჰყვეს, რამაც შეიძლება კონფლიქტის ესკალაცია განაპირობოს".

"აფხაზური მხარე ასეთ მონაცემებს ფლობს და ნებისმიერ პროვოკაციათა თავიდან ასაცილებლად მზადაა," - ამბობს არშბა. **პრაიმ-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა განზრახ მკვლელობისთვის ძებნილი, 5-ჯერ ნასამართლევი 47 წლის ზურაბ ხარატიშვილი დააკავეს. ხარატიშვილმა 2002 წელს თავის ბინაში დანით მოკლა საკუთარი ძმა, დავით ხარატიშვილი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, კობა ნარჩემაშვილი უარყოფს იმერეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის იმ განცხადებას, რომელიც ამ უკანასკნელმა სამართალდამცველ ორგანოებზე კრიმინალების დიდი გავლენის თაობაზე გამოთქვა.

ნარჩემაშვილის თქმით, სამართალდამცველებზე კრიმინალების მხრიდან "დიდი გავლენის" შესახებ შაშიაშვილს მისთვის არაფერი უთქვამს. "თუ იგი რაიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს, მე უნდა მითხრას, როგორც ქვეყნის შს მინისტრს," - აღნიშნა ნარჩემაშვილმა. **ინტერ-პრესი**

# ბეიკერისეულმა მოდელმა დღევანდელ ცესკო-ს აჭობა

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

**"საერთაშორისო ავტორიტეტი მთელი ქვეყნის საქმეა,"** – ეს ფრაქცია "თანადგომის" ლიდერის ელგუჯა მეძმარიაშვილის სიტყვებია, რომელიც სხდომათა დარბაზში კენჭისყრის დასრულებისთანავე გაისმა. არადა, გუშინდელი დღის მიმდინარეობა აშკარად ტოვებდა იმის შთაბეჭდილებას, რომ პარლამენტს და, განსაკუთრებით, სახელისუფლებო ფრაქციებს ქვეყნის პრესტიჟი და მისი საერთაშორისო იმიჯი ნაკლებად ადარდებდათ. დღის თორმეტი საათიდან მოყოლებული, როდესაც ბიუროს ოთახში მორიგი უშედეგო კონსულტაციები გაიმართა, შეიქმნა რეალური საფრთხე, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას გუშინ პარლამენტი ვერ შეძლებდა.

სიმართლე რომ ითქვას, ეს ეჭვი უსაფუძვლო ნამდვილად არ იყო. საღამოს ექვსი საათიდან დეპუტატები, როგორც იტყვიან, წყალს ნაყავდნენ. სცენარიც შესაბამისი იყო: ციფრთა სხვადასხვა კომბინაციები და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ახალ-ახალი ვარიანტები. ოპოზიციური ფრაქციებისაგან განსხვავებით, რომელთა წევრებსაც ერთიანი, ჩამოყალიბებული მიზანი ჰქონდათ და მათთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკმოპლექტების ბეიკერისეული ვარიანტი უალტერნატივო იყო, სახელისუფლებო ფრაქციების პოზიცია აშკარად არ გამოირჩეოდა მკაფიო მიდგომებით, რამაც, ბუნებრივია, ოპოზიციონერთა მძაფრი რეაქცია გამოიწვია. სხვადასხვა ფრაქციების ლიდერები უკვე პირდაპირ აცხდებდნენ, რომ შევარდნაძის მხარდამჭერებს ერთადერთი მიზანი ჰქონდათ – ყველა ხერხით შეენარჩუნებინათ დღეს მოქმედი ცენტრალური საარჩევნო კომისია. ეს აბსოლუტურად გასაგებიცაა, რადგან ამჟამად კომისიაში ისინი ასპროცენტიან გავლენას ფლობენ.

იგივე თამაშს თამაშობდნენ "მრეწველები" და "აღორძინებაც". ორივე ფრაქციამ ცესკო-ს დაკომპლექტების საკუთარი ვარიანტი წარმოადგინა, თუმცა ყველამ შესანიშნავად იცოდა, რომ არც ერთ მათგანს პერსპექტივა არ ჰქონდა და ეს მოდელები გამოცდას ვერ გაუძლებდა, ანუ კენჭისყრის დროს ჩავარდებოდა.

"24 საათისთვის" დანამდვილებით არის ცნობილი, რომ უკანასკნელ წუთამდე სახელისუფლებო ფრაქციათა რიგითმა წევრებმა არ იცოდნენ, რომელი გადაწყვეტილებისთვის დაეჭირათ მხარი. ისინი ბრძანებას ხმის მიცემა-არმიცემის თაობაზე საკუთარი ლიდერებისაგან უშუალოდ კენჭისყრის წინ იღებდნენ. შესაძლოა, ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ საქართველოს პრეზიდენტი ბოლო წუთამდე დუმდა და უშუალო დირექტივა მისი მხრიდან მიღებული არ ყოფილა. ასეთ ვითარებაში "მოქალაქეთა კავშირი" ან "სოციალისტები" რომ ყველაფერს იღონებდნენ ცესკო-ს დღევანდელი შემადგენლობის შესანარჩუნებლად, ცხადი იყო.

საბოლოოდ კი გაირკვა, რომ მათ საკუთარი თავისთვის საკმაოდ ცუდი თამაში ითამაშეს – პრეზიდენტის საქმეში ჩაურევლობას არასწორი ინტერპრეტაცია მისცეს და დამარცხდნენ. არადა, მათ ნამდვილად შეეძლოთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კიდევ ორი, მათდამი ლოიალურად განწობილი წევრის გაყვანა. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუკი ეს ფრაქციები მხარს დაუჭერდნენ ალტერნატიულ ვარიანტს, რომლის თანახმად, ბეიკერისეული მოდელი ოდნავ იცვლებოდა და თხუთმეტ წევრს ორი – აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების კვოტა დაემატებოდა. თუმცა, მათ ეს შანსი ვერ გამოიყენეს და კენჭისყრაზე ეს ვარიანტი ჩავარდა.

სწორედ მაშინ, როდესაც სახელისუფლებო ფრაქციები უკვე თვით ბეიკერისეული მოდელის ჩასაგდებად მოემზადდნენ, პოლიტიკურ სცენაზე საქართველოს პრეზიდენტი გამოჩნდა. ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, რა უთხრა მან ტელეფონით ელგუჯა მეძმარიაშვილს, თუმცა ამ საუბრის შემდგომ პრეზიდენტის მხარდამჭერთა პოზიცია რადიკალურად შეიცვალა - როგორც უკვე ვთქვით, ცესკო-ს დაკომპლექტების ახალ მოდელს წინააღმდეგობა არ შეხვედრია (კენჭიყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ "აღორძინებასა" და "მრეწველებს", რომლებმაც, პრეზიდენტის ჩარევამდე ცოტა ხნით ადრე, სხვადასხვა საბაბით კენჭისყრაზე უარი განაცხადეს).

სხვათა შორის, უკვე სხდომის დასრულების შემდეგ ფრაქცია "დემოკრატის" ერთ-ერთმა წევრმა, "24 საათთან" საუბრისას, გაკვირვება გამოთქვა სამთავრობო ფრაქციათა ასეთი გულუბრყვილობის გამო. **"მოქალაქეებსა" და "სოციალისტებს" ეგონათ, რომ შევარდნაძე ბეიკერს და საკუთარ სახელს მათ თავს ამჯობინებდა. ამის გულისთვის დაისაჯნენ კიდეც: ახალ კომისიაში ორით მეტი წევრის ყოლის შანსი გაუშვეს ხელიდან და თანაც, პრეზიდენტი გააბრაზეს. ახლა ნახეთ, სამთავრობო ბლოკში რა ამბები დატრიალდება,"** - ირონიულად შენიშნა მან.

# ვისთვის მეგობრებთან, ვისთვის ყრუებთან საუბარი

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

რჩეულიშვილი რუსეთთან პარტნიორული ნდობის აღსადგენად მხოლოდ "თვითგვემას" არ მიეცა და ცოტა რუსი პოლიტიკოსების შეცდომებზეც თქვა - პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას არც რუსი პოლიტიკოსების სოხუმში საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებელი ვიზიტები უწყობს ხელსო.

ასეა თუ ისე, რჩეულიშვილთან დუმის წარმომადგენლებს უფრო ტკბილი საუბარი ჰქონდათ, ვიდრე ყოლბაიასთან. აფხაზეთის დეპუტაციის წარმომადგენლები რუს კოლეგებთან შეხვედრას რიგ-რიგობით ტოვებდნენ. პოზიცია და შეხედულება ყველას თითქმის ერთნაირი ჰქონდა - ამ შეხვედრის შემდეგ არაფერი შეიცვლება. ერთსა და იგივეს იმეორებენო. შეხვედრის შემდეგ ვახტანგ ყოლბაიამ ირონიულად შენიშნა: **"ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ყრუებს ვესაუბრებოდით".**

რა საჭირო იყო ვიზიტი, რომლის უშედეგობაში თითქმის ყველა - როგორც სტუმარი, ისე მასპინძელი - წინასწარ იყო დარწმუნებული? ყოლბაიას განმარტებით, **"ეს ვიზიტი ჯერ კიდევ სამი-ოთხი თვის წინ დაიგეგმა. ახლა, წინასაარჩევნო ვითარებიდან გამომდინარე, ორივე მხარე ისეთი განცხადებების გაკეთებას ერიდება, რომელიც მას ელექტორატს დააკარგვინებს. მაგრამ ურთიერთობის გაღრმავებლად ასეთი ვიზიტებიც საჭიროა."** ყოლბაია ამტკიცებს, რომ რუსეთი აფხაზეთის საკითხის ეტაპობრივად გადაჭრის მომხრეა. ვლადიმირ ლუკინი აცხადებს, რომ შექმნილ ვითარებაში, დაძაბულ ურთიერთობებში ბრალი როგორც ქართულ, ისე რუსულ მხარეს მიუძღვის. მაგრამ როგორც ჩანს, ლომის წილი საქართველოზე მოდის, რადგან რუსი ვიცე-სპიკერის აზრით, **"რუსეთს, საქართველოს მხრიდან კეთილგანწყობის არარსებობის გამო, ურთიერთობების დიდად გასაუმჯობესებლად სტიმული არ აქვს."**

თუ დელეგაციის ხელმძღვანელი ერთგვარ ნეიტრალიტეტს მაინც იცავდა, დელეგაციის რიგითი წევრები თავს ნაკლებად შეზღუდულად გრძნობდნენ. დსთ-ს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ვლადიმირ აპატენკოს აზრით, **"საქართველოს დსთ-ს სამშვიდობო ძალების ჩასანაცვლებლად ალტერნატივა არ აქვს, რადგან ყველა ქვეყანა, გარდა რუსეთისა, საკუთარი ძალების დაზოგვას ცდილობს. გადაუჭრელი პოლიტიკური პრობლემები კი, როგორც წესი, პოლიტიკოსების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რუსეთს ბრალდება, მაშინ, როცა ამაზე პასუხისმგებლები უმეტესად თავად ქართველი პოლიტიკოსები არიან. და ბოლოს: რუსეთს, საქართველოს გარდა, სავიზო რეჟიმი მართლაც არც ერთ ქვეყანასთან არ შემოუღია და საქართველოს მართლაც მართებს იმაზე დაფიქრება, თუ კონკრეტულად რითია ეს განპირობებული."** იგივე ლუკინი საქართველოს, სუუამ-ის ნაცვლად, "ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში" გაწევრიანებას სთავაზობს, თუმცა, მისი თქმით, რაიმე გარანტიებს ქართული მხარე არც ამის შემდეგ მიიღებს.

# ნიკა ლომინაძის მკვლელობა

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ



ნიკა ლომინაძე

მირიან ცხვარაძის საქმიანობის დეტალების დადგენა გახდა შესაძლებელი, ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი კი პარლამენტის ენერგეტიკული საკითხების დროებითმა საგამოძიებო კომისიამ შეასრულა. მირიან ცხვარაძის ფირმის "იბერია პრაიმ კაპიტალის" საქმიანობის შესახებ მათ არაერთი მასალა შეაგროვეს და გამოძიებას გადასცეს.

დღეს უკვე გამოძიების მიერ დადგენილია, რომ ცხვარაძემ და კიდევ რამდენიმე ფირმის მის მიერვე ხელდასხმულმა დირექტორებმა ბანკიდან 8 მილიონზე მეტი თანხა გამოიტანეს და აქედან ბიუჯეტში ერთი თეთრიც არ გადაუხდიათ. დღეს ამ ფირმების – "ორლანდო ჰოლდინგ კორპორეიშენისა" და "გბ და კომპანის" დირექტორთაგან ერთი – გელა ჭონიაშვილი წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, მეორეს – გოჩა ბალახაძეს კი შინა პატიმრობა აქვს შეფარდებული. ორივე მათგანს ფირმები მირიან ცხავარაძემ გაატარებინა რეგისტრაციაში და ძირითადად მხოლოდ სხვადასხვა დოკუმენტებზე მათი ხელმოწერები ესაჭიროებოდა. გარდა ამისა, ორივე დირექტორს ბანკიდან მათი ფირმების ანგარიშებზე ჩარიცხული თანხები გამოჰქონდა და, როგორც ამბობენ, ცხვარაძეს აბარებდა.

**"ჭონიაშვილი აცხადებს, რომ ცხვარაძეს ცარიელ ბლანკებზე უწერდა ხელს. ეს პატარა ბავშვის თავის მართლებაა, ჭონიაშვილი კი საკმაოდ გონიერი ადამიანია და კარგად უნდა სცოდნოდა, რომ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ჩადიოდა,"** - ამბობს თბილისის პროკურატურის გამომძიებელი მერაბ გვილავა, რომელიც თაღლითობის საქმეს იძიებს. მისივე თქმით, მოსალოდნელია ამ საქმეზე ბრალდებულთა რიცხვის გაზრდა.

**"არ გამოვრიცხავ, რომ პასუხისგებაში სხვებიც მივცეთ. ასევე შესაძლებელია, ზოგიერთ ბრალდებულს, მაგალითად, გვიჩიანს, ბრალდების მუხლი შეეცვალოს,"** - ამბობს იგი.

როგორც გვილავასგან შევიტყვეთ, თაღლითი ფირმების საქმის ირგვლივ უამრავი ადამიანია დაკითხული, ბევრი საგამოძიებო მოქმედებაა ჩატარებული. იმავე ცხვარაძის მიერ მიცემული ერთადერთი ჩვენება, მისი თქმით, ზუსტად ასახავს მოვლენათა არსს, რაც სხვა მტკიცებულებებითაც დასტურდება.

მირიან ცხვარაძემ კი ბრალდებულად დაკითხვისას მიცემულ ერთადერთ ჩვენებაში (მას შემდეგ იგი დუმილის უფლებას იყენებს) თაღლითობა ერთპიროვნულად აღიარა, ყველა ყალბი დოკუმენტი საკუთარი ხელით გაკეთებულად მონათლა და მთელი თანხების მითვისებაც საკუთარ თავზე აიღო. თუმცა, ცხვარაძის ფირმის ისტორია მის ერთპიროვნულად მოქმედებაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა.

### "მაღალი" მფარველების გამოვლენა ჯერ მეორე პლანზეა

გამოძიებას, რომელიც ამჟამად სწავლობს "იბერია პრაიმ კაპიტალის" დამფუძნებელი ორი ფირმის – "იბერია პრაიმისა" და "გეომელის" საქმიანობას, ჯერ არ დაუკითხავს "იბერია პრაიმ კაპიტალის" სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში მოხსენიებული გავლენიანი პირები. მათ კი აქ მრავლად შეხვდებით. კერძოდ, დამფუძნებელ ორგანიზაციათა შორის არიან "საქნავთობის" დეპარტამენტი, სახელმწიფო კომპანია "საქენერგოგენერაცია", სახელმწიფო კომპანია "საქენერგო", ხოლო ფირმის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შორის კი აღმოაჩენთ ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს დავით ზუბიტაშვილს, "საქენერგოს" ყოფილ გენერალურ დირექტორს ვაჟა მეტრეველს, "საქენერგოგენერაციის" ყოფილ გენერალურ დირექტორს ნოდარ ბადურაშვილს, "საქნავთობის" დეპარტამენტის დირექტორს რევაზ თევზაძეს. დღეს ყველა მათგანი უარყოფს "იბერია პრაიმ კაპიტალთან" რაიმე კავშირის ქონას, მეტიც, დავით ზუბიტაშვილმა ამ ფირმის სადამფუძნებლო პროცესში ღრმად ჩაიხედა და არაერთი სიყალბე აღმოაჩინა. თუმცა, აქ ისიც საგულისხმოა, რომ ჩვენთან საუბრისას, თავის დროზე ნოდარ ბადურაშვილმაც თქვა, რომ ამ ფირმის შესახებ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ჩუბინიშვილის გამოსვლამდე არაფერი სმენია. თუმცა, ირაკლი ჩუბინიშვილი პარლამენტარების წინაშე მოხსენებით შარშან წარსდგა, ნოდარ ბადურაშვილის ხელმოწერა კი "იბერია პრაიმ კაპიტალთან" უიმედო ვალების ამოღების შესახებ ხელშეკრულებას ჯერ კიდევ 1998 წელს ახლდა.

**"ამ ხელშეკრულებას არ უმუშავია, გაუქმდა. ამიტომაც პრეტენზია არ გვაქვს,** - ამბობს მერაბ გვილავა, - **"იბერია პრაიმ კაპიტალის" დამფუძნებელთაგან ვაჟა მეტრეველის გარდა არავინ დაგვიკითხავს, თუმცა, როცა საჭირო გახდება, არავის მოვერიდებით"**.

მერაბ გვილავა არც მირიან ცხვარაძის "მაღალი" მფარველების წინაშე აპირებს უკანდახევას, რა თქმა უნდა, თუ ასეთები ძიების პროცესში გამოჩნდებიან და მათ წინააღმდეგ საკმაო მტკიცებულებები შეგროვდება. თუმცა, გამოძიებისგან განსხვავებით, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ჩუბინიშვილმა მირიან ცხვარაძის მფარველად საქართველოს პრეზიდენტის ძმისშვილი ნუგზარ შევარდნაძე დაასახელა. **"იბერია პრაიმ კაპიტალიცა" და "ორლანდო ჰოლდინგ კორპორეიშენიც" ნუგზარ შევარდნაძის "ივერია პლუსის" მკვდრადშობილი ფირმებია. ამ ორი ფირმის სახელით ენერგოვალების გადაბარებაზე ერთი და იგივე პიროვნება მუშაობდა - მირიან ცხვარაძე – ისიც შევარდნაძის ხელდასხმული კაცია,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში ჩუბინიშვილმა.

სხვათა შორის, "იბერია პრაიმ კაპიტალი" 1997 წელს ერთი კონკრეტული მიზნით – "თელასის" ხელში ჩასაგდებად შეიქმნა. როგორც ცნობილია, "იბერია პრაიმ კაპიტალის" მცდელობა, "თელასის" პრივატიზება მოეხდინა, წარუმატებლად დასრულდა და ტენდერი "თელასისთვის" ამერიკულმა კომპანიამ "AES"-მა მოიგო, ხუთი წლის შემდეგ კი იგივე "იბერია პრაიმ კაპიტალი" ყოფილი კონკურენტის დისკრედიტაციისთვის გამოიყენეს. ამის თაობაზე დეტალურად მომდევნო ნომერში გიამბობთ.

რაც შეეხება მირიან ცხვარაძეს, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის დაკითხვისას ნიკა ლომინაძესთან კავშირის შესახებ არაფერი უკითხავთ, ჩვენთვის ცნობილია, რომ ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ. გამოძიებამ კი მკვლელობასთან ცხვარაძის უშუალო კავშირის დასადგენად, მისი თითის ანაბეჭდები ექსპერტიზაზე გაგზავნა – ისინი ნიკა ლომინაძის ბინაში აღმოჩენილ ანაბეჭდებს არ დაემთხვა.

# "დემოკრატები" სეკვესტრის პროექტის ჩაბდებით იმუქრებიან

სოფიკო ოხანაშვილი

საკრებულოს ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატები" სახელმწიფო ბიუჯეტის 135- მილიონიან სეკვესტრს გამოეხმაურნენ და შესაძლო სეკვესტრის პირობებში თბილისისათვის 30-36-მილიონიანი დანაკლისის საფრთხეზეც ალაპარაკდნენ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე მთავრობის მიერ აღებულ ვალდებულებას, შემოსავლების 40 მილიონით გაზრდის შესახებ, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საკრებულოს ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" წევრმა, გიორგი გოდაბრელიძემ არარეალისტური უწოდა და აფიორად შეაფასა. ის დარწმუნებულია, რომ მთავრობა ვერ შეძლებს სათამაშო ბიზნესიდან, ბაზრობების გადასახადიდან, მშენებლობის ფიქსირებული გადასახადიდან, ლეგიონის საქმიანობიდან, სპეცსახსრებიდან და მობილურზე დაწესებული გადასახადიდან შემოსავლების მიღებას, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს შემოსავლები არარეალურია. **"40 მილიონიდან, მობილურ ტელეფონებზე დაწესებული გადასახადის გარდა, რომელიც წლის ბოლოს ოთხ მილიონ დოლარს შეადგენს, დანარჩენი მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტისათვის გადასარიცხ თანხებზე მოდის. მთავრობა ამ გეგმას ვერ შეასრულებს, რაც რეალური საფრთხის წინაშე დააყენებს ყველა სოციალური პროგრამის განხორციელებას, რომელთა შესრულებაც საკრებულომ თავის თავზე აიღო,"** - ირონიულად შენიშნა გიორგი გოდაბრელიძემ.

გიორგი გოდაბრელიძე შემოსავლებში 40 მილიონის მობილიზებას არარეალურად მიიჩნევს.

გიორგი ბახტაძის ფოტო

**აიღო,"** - გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საკრებულოს ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" პოზიცია დააფიქსირა ფრაქციის წევრმა გიორგი გოდაბრელიძემ. ის დარწმუნებულია, რომ "გაერთიანებული დემოკრატების" საპარლამენტო ფრაქცია, წარმოდგენილი სახით, სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრის პროექტს მხარს არ დაუჭერს.

# მთავრობის ხანგრძლივი სხდომა, გადაწყვეტილებების გარეშე

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

**"ჯერჯერობით თქვენი ადგილი ვერ გიპოვიათ,"** - განუცხადა შევარდნაძემ უწყების ხელმძღვანელს. პრეზიდენტის აზრით, ეკონომიკის სამინისტრო ისევე უნდა იყოს ჩართული საბიუჯეტო საკითხებში, როგორც ფინანსთა სამინისტრო. გაფრთხილება მთავრობის სხვა წევრებსაც შეეხო: **"ვალდებულებების შესასრულებლად ცოტა დრო დაგრჩათ. თუ გგონიათ, რომ მუდმივად მინისტრები იქნებით, ძალიან ცდებით,"** – განუცხადა პრეზიდენტმა მინისტრებს, რომელთაც ეს განცხადება განსაკუთრებულ შემთხვევად სულაც არ აღუქვამთ.

### შევარდნაძეს თბილისის საკრებულოს განცხადებები აღაშფოთებს

საქართველოს პრეზიდენტი აღშფოთებულია თბილისის საკრებულოს აქტიურობით. გუშინ მან თბილისის მერს მიმართა იმის გასარკვევად, რას ნიშნავს საკრებულოს განცხადება, რომ თბილისი ფინანსურ ბლოკადაშია.

**"ღმერთმა ინებოს, ვინც ამგვარ განცხადებებს აკეთებს, ის მოვიდეს ხელისუფლებაში და ნახავს, რა პრობლემების წინაშე დადგება,"** – ჩანს მიხეილ სააკაშვილი "დალოცა" პრეზიდენტმა და საკრებულოს ხელმძღვანელებს მეტი კორექტულობისა და უსაფუძვლო ბრალდებებისგან თავშეკავებისკენ მოუწოდა.

### პრეზიდენტი შაშიაშვილს "აშოშმინებს"

**"არ მითხრათ, რომ იმერეთსა და სამეგრელოში არ შეიძლება იმის გაკეთება, რაც სამცხე-ჯავახეთში მოახერხეს. რა, იქ მეტი ხელფასები აქვთ, უკეთეს პირობებში ცხოვრობენ თუ როგორაა საქმე?"** – განუცხადა გუშინ ედუარდ შევარდნაძემ შაშიაშვილს, რომელმაც მთავრობის გუშინდელ სხდომაზეც იმერეთის რეგიონისთვის ელექტროენერგიის გათიშვა სახელმწიფო დანაშაულად და პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ კამპანიად შეაფასა.

შაშიაშვილს საქართველოს პრეზიდენტმა სამცხე-ჯავახეთში ჩასვლა და ელექტროენერგიის თანხების მობილიზების გამოცდილების გაზიარება შესთავაზა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ელექტროენერგიის მიღება ვისაც უნდა, ფული უნდა გადაიხადოს.


ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

არჩევნების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში

აცხადებს კონკურსს

2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის პოლიტიკური დებატების ხელშეწყობაზე

■ კონკურსის მიზანია:

კონკურსის მიზნებია 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ ძალებსა და დეპუტატობის კანდიდატებს შესაძლებლობა მიეცეთ თანაბარ პირობებში ამომრჩეველს გააცნონ თავიანთი პლატფორმები, ხოლო თავის მხრივ, ამომრჩეველს ჰქონდეს შესაძლებლობა უკეთ გაეცნოს არჩევნებში მონაწილე სუბიექტთა პროგრამებს, რაც მას ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება. საკონკურსო პროექტი არ უნდა განხორციელდეს ქობილისში. კონკურსში გამარჯვებული პროექტების ფარგლებში დაუშვებელია რომელიმე პარტიისა თუ კანდიდატის ამომრჩეველთან მხარდაჭერი შეხვედრების ჩატარება.

■ კონკურსში მონაწილეობა:

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ რეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებს.

საკონკურსო პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა

2003 წლის 31 ივლისი, 17:00 საათი

კონსულტაციები გაიმართება 18 და 23 ივლისს, 14:00 საათზე ფონდის ოფისში შემდეგ მისამართზე: ქობილისი, ჭოველიძის ქუჩა №10.

ჭოველიძის 10, თბილისი 0108
ტელ: (+995 32) 25 05 92/93
ფაქსი: (+995 32) 29 10 52

E-mail: kartuli@osgf.ge

# „საქართველოს ბანკმა" ოთხი მილიონი კიდევ ისესხა

გიორგი გახელაძე

გუშინ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) "საქართველოს ბანკთან" ოთხი მილიონი აშშ დოლარის ოდენობის საკრედიტო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. **"ჩვენთვის ეს პროექტი ევრობანკის რესურსების გამოყენების საუკეთესო მაგალითია და მოხარული ვართ, რომ სანდო პარტნიორი გვყავს საქართველოს ბანკის სახით,"** – განაცხადა EBRD-ის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში, ნიკოლაი ხაჯინსკიმ. თანამშრომლობის გამოცდილება, მართლაც, დიდი ხნისაა. საქართველოს ბანკის რეფორმირება !998 წლიდან, სწორედ, ევრობანკის ხელშეწყობით მოხდა. მაშინ პირველი საკრედიტო ხელშეკრულებაც გაფორმდა და EBRD 16-პროცენტიანი წილის მფლობელიც გახდა. ამას მოჰყვა ჰოლანდიური ბანკის ABN Amro-ს ორწლიანი კონსალტინგი. ახლა საქართველოს ბანკი თავისი 52 ფილიალით ჩვენი ქვეყნის საკრედიტო ბაზრის 20 პროცენტზე მეტს ფლობს (დაახლოებით, 138 მილიონი ლარი) და მხოლოდ "თი-ბი-სი ბანკს" ჩამორჩება.

საქართველოს ბანკის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პატეიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კრედიტები, ძირითადად, მიმართული იქნება მშენებლობასა და გადამამუშავებელ მრეწველობაში. **"მართალია, დარგობრივი რეგლამენტი ამ საკრედიტო ხაზს არ ახლავს, მაგრამ, მაგალითად, სოფლის მეურნეობაში კრედიტს არ გავცემთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ დარგს უფრო სუბსიდიები სჭირდება, ვიდრე კრედიტები,"** – განმარტა მან. პატეიშვილს არ აშინებს საქართველოში სამშენებლო ბიზნესის "დაჩრდილვის" ყველაზე დიდი ხარისხი: **"პირიქით, რადგან ამ სფეროს დარეგულირება სჭირდება. თორემ, სოკოებივით შენდება სახლები და მერე ვეღარ იყიდება."**

გუშინვე გაირკვა, რომ EBRD-ის კრედიტი შვიდწლიანია და საქართველოს ბანკი, სავარაუდოდ, 3-4-წლიან სესხებს გაცემს.

გუშინვე ფინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა მონაცემები, რომელთა თანახმად, ბიუჯეტში შეტანილი თანხების სიდიდით გამოირჩევიან "საქართველოს ბანკი" - 2 მილიონ 85 ათას 558 ლარი, "გაერთიანებული ქართული ბანკი" - მილიონ 874 ათას 584 ლარი და "მიკროსაფინანსო" ბანკი - მილიონ 124 ათას 706 ლარი. თუმცა, ბანკებს შორის ყველაზე მსხვილ გადამხდელად "თი-ბი-სი" ბანკი დაფიქსირდა, რომელმაც სახელმწიფო ბიუჯეტში საანგარიშო პერიოდში 3 მილიონ 655 ათას 727 ლარი გადაიხადა.

# მერია საგზაო ფონდისგან წილს ითხოვს

სოფიკო ოხანაშვილი

ქალაქის მუნიციპალიტეტი თხევადი აირით უკანონო მოვაჭრეებს მონობლოკებისა და მონოცისტერნების დედაქალაქიდან გატანისათვის ერთი კვირის ვადას აძლევს. წინააღმდეგ შემთხვევაში მერია, შესაბამის სამსახურებთან ერთად, ეტაპობრივი იძულებითი ღონისძიებების გატარებას დაიწყებს, რაც მონობლოკებისა და მონოცისტერნების ჩამორთმევას და ჯარიმების დაკისრებას ითვალისწინებს. პირველ ეტაპზე დაგეგმილია ოცი უკანონო მონოცისტერნისა და მონობლოკის თბილისიდან გატანა.

თხევადი გაზის უკანონო ვაჭრობასთან რვაწლიანი ბრძოლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მიუხედავად, დედაქალაქის ვიცე-პრემიერის, გიორგი კარბელაშვილის მონაცემებით, დღეს თბილისში 107 ასეთი უკანონო, ულიცენზიო, არალეგალური და ტექნიკურად გაუმართავი მონოცისტერნა და მონობლოკი ფუნქციონირებს. **"ყველა ეს უკანონო ობიექტია, რომლებიც ელემენტარულ უსაფრთხოების ნორმებს არ აკმაყოფილებენ და არალეგალურად ფუნქციონირებენ. უსაფრთხოება უნდა დავიცვათ,"** - გუშინ მერიაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის

გიორგი კარბელაშვილი თხევადი გაზის გამყიდველებს ერჩის. ფოტო გიორგი ბებარაშვილი

გაზზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა დიმიტრი დუდუჩავამ. საფრთხეს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ აღნიშნული უკანონო ობიექტები სკოლების, ბაღების გვერდით და მჭიდროდ დასახლებულ უბნებშია განთავსებული. **"თითოეული ასეთი არალეგალური მონოცისტერნა ერთი დიდი ყუმბარაა, რასაც, შესაძლოა, სავალალო შედეგი მოჰყვეს,"** - განაცხადა კარბელაშვილმა. დუდუჩავას ინფორმაციით, თბილისში თხევადი გაზის მხოლოდ 15 სარეალიზაციო სადგური ექვემდებარება სტანდარტებს - ტექნიკურად გამართულია და ვაჭრობა შეიძლება.

არალეგალური მონოცისტერნებიდან თხევადი აირის რეალიზების აკრძალვის პარალელურად, მერია ერთ თვეში თბილისში სატრანზიტო ტვირთების გადაზიდვასაც აკრძალავს. თბილისის ვიცე-პრემიერის განცხადებით, სატრანზიტო ტვირთების გადაზიდვა შემოვლითი გზებით უნდა ხორციელდებოდეს. ამასთანავე, პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ თბილისის მთავრობა საგზაო ფონდიდან თბილისის გზების შეკეთებისათვის სამი წლის განმავლობაში ორი სახის გადასახადის - ტრანსპორტის ფლობის გადასახადისა და გზებით სარგებლობის გადასახადის - 50 და 25 პროცენტის ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხვას ითხოვს. დედაქალაქის მთავრობამ პარლამენტს საგზაო ფონდის შესახებ კანონში ცვლილებების გატარების ინიციატივით მიმართა. მერიის მიერ წარდგენილ ცვლილებათა პროექტს საკანონმდებლო ორგანოში დღეს განიხილავენ.

კარბელაშვილის განცხადებით, საგზაო ფონდში შესული გადასახადების 60 პროცენტი თბილისის მოსახლეობაზე და დედაქალაქში განთავსებული დაწესებულებების ხარჯზე მოდის, აქედან კი თბილისის ქუჩებს არც ერთი თეთრი არ ხმარდება. მერიაში ვარაუდობენ, რომ თუ პარლამენტი დააკმაყოფილებს თბილისის მთავრობის მოთხოვნას, მერია გზების რეაბილიტაციისთვის 4 მლნ. ლარამდე თანხას მიიღებს. **"ეს ზღვაში წვეთია საგზაო ფონდისთვის, რომლის წლიური ბიუჯეტი 45 მილიონი ლარია,"** - განაცხადა მერიის საქალაქო მეურნეობის სამსახურის უფროსმა ალეკო კურცხალიამ.

# ენერგეტიკაში კვლავ ანგარიშების დაყადაღების პრობლემა დგას

მაია ურუშაძე

*გუშინ დილიდან საგადასახადო ინსპექციამ საბითუმო ბაზრის, ხოლო ეროვნულმა ბანკმა სახელმწიფო ელექტროსისტემის ანგარიში დააყადაღა. შესაბამისად, ელექტროენერგეტიკაში კვლავ უკონტროლო სიტუაცია შეიქმნა. საბითუმო ბაზრის ანგარიშზე რეგიონებში წარმოებული მასობრივი გამორთვების პოლიტიკის შედეგად მიმართული თანხების მიღება შეწყდა. პარალელურად, დაიბლოკა ზამთრისათვის მზადების პროგრამისა და ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციისათვის განკუთვნილი თანხების გადინებაც.*

საბითუმო ბაზრის ანგარიში საგადასახადო ინსპექციამ "თბოელექტროცენტრალის" ("თბილთეცი") დავალიანების გამო დააყადაღა. "თბილთეცისადმი" ბაზრის დავალიანება, დაახლოებით, ერთ მილიონ ლარს შეადგენს. თავად "თბილთეცი" საგადასახადოში გადასახადებს ვერ იხდის. ამის მიზეზად კი ბაზრიდან მიუღებელ თანხას ასახელებს. საგადასახადო სამსახურმაც ამ დავალიანების ამოღება მისი მევალისგან – საბითუმო ბაზრისგან სცადა.

"თბილთეცი" "საქგაზის" ანუ "იტერას" 100-პროცენტიანი საკუთრებაა. ადრე ეს სადგური, რომელიც თავის დროზე დედაქალაქის გათბობისა და ცხელი წყლის სისტემის მომსახურებისთვის აშენდა, საბითუმო ბაზარს ელექტროენერგიას აწვდიდა. თუმცა, იმის გამო, რომ მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ძვირი ჯდება (მას ელექტროენერგიის გამომუშავებისათვის სათბობი ესაჭიროება, თანაც, მისი ბლოკები მოძველებულია და, ამდენად, საკმაოზე მეტად ხარჯიანიც), მასთან გაფორმებული ხელშეკრულება საბითუმო ბაზრისთვის წამგებიანი იყო. საბითუმო ბაზრის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა "თბილთეცთან" გაფორმებული ხელშეკრულების შეფასებისგან დღეს თავს იკავებს, თუმცა ბაზარში აღნიშნავენ, რომ ამ ხელშეკრულების გამო დაგროვილი ვალების რესტრუქტურიზაციაზე საუბარი ამჟამადაც მიმდინარეობს.

ბაზარში გუშინ აცხადებდნენ, რომ საგადასახადო ინსპექციამ სახელმწიფო მინისტრთან მიღწეული შეთანხმება დაარღვია და ელექტროენერგეტიკულ სექტორში თანხების მოძრაობა სწორედ იმ დროს შეაფერხა, როცა საბითუმო ბაზარი "გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას" 70 პროცენტით ზღუდავს და ამ პოლიტიკის შედეგად ენერგოსექტორის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობს. შედეგად, საგადასახადო ინსპექციამ ბაზრის ანგარიშს ყადაღა გუშინ საღამოსვე ახსნა.

რაც შეეხება "სახელმწიფო ელექტროსისტემას", მისი სატრანსფერო ანგარიში ეროვნული ბანკის მსხვერპლი გახდა. ყადაღის მიზეზად გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის – "KFW"-ს საკრედიტო საურავების გადაუხდელობა იქცა. ეს საურავები "ელექტროგადაცემისა" და "დისპეტჩერიზაციის" სამართალმემკვიდრემ – "სახელმწიფო ელექტროსისტემამ" გერმანული ბანკის მიერ 1995-1996 წლებში განხორციელებული პროგრამისთვის "ენერგეტიკა-2" უნდა გადაიხადოს. ამ პროგრამის ღირებულება 13 მილიონი გერმანული მარკა იყო. მის ფარგლებში გერმანულმა ფირმა "AEG"-მ საქართველოს ელექტროქსელის რეაბილიტაცია მოახდინა.

გაათავისუფლებს თუ არა "სახელმწიფო ელექტროსისტემის" ანგარიშს ეროვნული ბანკი, მხოლოდ დღეს გახდება ცნობილი.

მონიტორინგი

# მთავრობას ქვეყნის უსაფრთხოება აღარ აღელვებს

სოციალურმა ფონდმა, როგორც იქნა, გამოაქვეყნა 6 თვის მაჩვენებლები. ინფორმაციის "დაგვიანების მიზეზი ნამდვილად ჰქონიათ".

კატასტროფული მდგომარეობაა სოციალური ფონდის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსებაში.

ჯანდაცვის პროგრამები დაფინანსებულია 78,8 პროცენტით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამა - 51,9 პროცენტით, უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები - 30,5 პროცენტით.

**სოციალური ფონდის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ხარჯებში გარღვევა 11 მილიონ 227 ათას 300 ლარია.**

**კატასტროფული მდგომარეობაა პენსიების დაფინანსებაში. ჯერ არ დასრულებულა მარტის თვის პენსიების დაფინანსება, გარღვევა 2,3 მილიონი ლარია. აპრილის პენსიების დაფინანსებაში გარღვევა 8,7 მილიონი ლარია, მაისში - 10,3 მილიონი ლარი და ივნისში - 13,3 მილიონი ლარი.**

**ნათელია, რომ საუბრები რაიონების მიხედვით პენსიების გამოთანაბრების შესახებ ბლეფი აღმოჩნდა.**

ძალოვანი სტრუქტურების პენსიები დაფინანსებულია მაისის ჩათვლით. ივნისის თვეში, ნაცვლად 2,2 მილიონი ლარისა, დახარჯულია 0,58 მილიონი ლარი.

ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერიდან უმწეოთა სოციალური დახმარება დაფინანსებულია მხოლოდ მარტის ჩათვლით, ხოლო აპრილ-ივნისის ხარჯებში გარღვევა 3,6 მილიონი ლარია. ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან უმწეოთა სოციალური დახმარების დაფინანსებაზე ზუსტი ციფრები არ გაგვაჩნია. თუმცა არსებობს მონაცემები, თუ რამდენი თვის დახმარება დაფინანსდა: აჭარა - 4 თვე, თბილისი - 4 თვე, სამტრედია - 4 თვე, საგარეჯო - 4 თვე, მცხეთა - 5 თვე, ხაშური - 5 თვე, ფოთი - 5 თვე, რუსთავი - 5 თვე, ბოლნისი - 6 თვე, ბორჯომი - 6 თვე.

პენსიების წინა პერიოდის დავალიანების დაფარვისათვის გადარიცხულია 1,3 მილიონი ლარი. სასამართლო გადაწყვეტილებით კი, გადარიცხულია 15,6 ათასი ლარი.

**ექვს თვეში პენსიებში გარღვევა 38 მილიონ 994 ათას 700 ლარია.**

**ექვსი თვის მონაცემებით, სოციალური დაზღვევის ფონდის ხარჯებში გარღვევა 50 მილიონ 222 ათასი ლარია.**

**ამ პირობებში იმაზე საუბარი, რომ მიმდინარე პენსიების დავალიანებას სექტემბრისთვის გაისტუმრებენ, სამწუხაროდ, არარეალურია. მთავრობა უნდა ეცადოს, დიდი ოდენობით ახალი დავალიანებები არ დააგროვოს.**

**ფაქტია, რომ მთავრობას მოსახლეობის ბედი და ქვეყნის სოციალური უსაფრთხოება აღარ აღელვებს. ნუთუ ასე ფიქრობს ქვეყნის მთელი პოლიტიკური ელიტაც?**

**საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"**

სოციალური ფონდის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ხარჯების 1 ივლისისათვის

ათას ლარებში

| დასახელება | გეგმა თვის განმავლობაში | ფაქტი | % გეგმასთან |
|---|---|---|---|
| ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები | 38,011 | 29,935 | 78.8% |
| მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების პროგრამა | 6,775 | 3,465 | 51.1% |
| მოსახლეობის სტაციონარული დახმარების პროგრამა | 24,620 | 20,550 | 83.5% |
| მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა | 5,700 | 5,019 | 88.1% |
| ჩინა პერიოდის დავალიანების დაფარვა | 916 | 901 | 98.3% |
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამა | 2,055 | 1,066 | 51.9% |
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კომპონენტი | 755 | 84 | 11.1% |
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინსტიტუციონალური პატრონაჟის ხარჯები | 900 | 688 | 76.4% |
| დეფინილ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა | 100 | 45 | 44.6% |
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტში გადასახადები მიწის და ქონების გადასახადის ხუბსიდირება | 300 | 250 | 83.3% |
| უმუშევრის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები | 3,110 | 948 | 30.5% |
| უმუშევრის შემწეობის პროგრამა | 200 | 150 | 75.0% |
| უმუშევრის დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა | 1,100 | 16 | 1.4% |
| უმუშევრის პროფესიული მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა | 200 | 15 | 7.5% |
| გასული წლის დავალიანების დაფარვა | 650 | 473 | 72.8% |

პენსიების დაფინანსება 1 ივლისისათვის

| დასახელება | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი |
|---|---|---|---|---|---|---|
| პენსიები | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | გარღვევა 2.3 მლნ ლარი | გარღვევა 8,7 მლნ ლარი | გარღვევა 10,3 მლნ ლარი | გარღვევა 13,3 მლნ ლარი |
| ძალოვანი სტრუქტურების პენსიები | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | გარღვევა 1,7 მლნ ლარი |
| უმწეოთა სოციალური დახმარება | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | გარღვევა 0,6 მლნ ლარი | გარღვევა 1,5 მლნ ლარი | გარღვევა 1,5 მლნ ლარი |


MBG ემბიჯი
MICROFINANCE BANK OF GEORGIA
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

MBG-ბანკი გთავაზობთ
სესხებს თქვენი ბიზნესისათვის

საშუალო სესხი:
თანხა: $10.000-50.000
წლიური 18%-დან

ინვესტ სესხი:
თანხა: $50.000-დან
წლიური 16%-დან

ფილიალების ქსელი

ცენტრალური ფილიალი
0112 თბილისი
თამარ მეფის გამზ. 18
ტელ: (995 32) 98-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
Email: central@mbg.com.ge

ვაკის ბანკომსახურება
0179 თბილისი
მეხუთის ქ. 8
ტელ: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
Email: vake@mbg.com.ge

ვაკის ფილიალი
0112 თბილისი
თოვლის მეფის 3/32
ტელ: (995 32) 98-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
Email: stationsquare@mbg.com.ge

გლდანის ფილიალი
0167 თბილისი
ომარ ხიზანიშვილის ქ. 1
ტელ: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
Email: gldani@mbg.com.ge

გორის ფილიალი
1400 გორი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 270) 8-16-09
ფაქსი: (995 32) 33-46-78; 33-46-58
Email: gori@mbg.com.ge

საბურთალოს ბანკომსახურება
0177 თბილისი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 46
ტელ: (995 32) 20-17-17
ფაქსი: (995 32) 20-17-18
Email: saburtalo@mbg.com.ge

მარნეულის ბანკომსახურება
3000 მარნეული
როლოსტანის ქ. 3
ტელ: (995 257) 8-16-00; 8-16-50
ფაქსი: (995 22) 94-31-36
Email: marneuli@mbg.com.ge

ვარკეთილის ფილიალი
0182 თბილისი
კავსადზის ქ. მე-2 ჩიხი
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
Email: varketili@mbg.com.ge

ფოთის ფილიალი
4400 ფოთი
დ. აღმაშენებლის ქ. 23
ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3
ფაქსი: (995 293) 28-28-4 33-46-58
Email: poti@mbg.com.ge

ლილოს ბანკომსახურება
0115 თბილისი
ჯავახეთის გზატკეცილი 112
ტელ: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
Email: lilo@mbg.com.ge

ქობულეთის ბანკომსახურება
6201 ქობულეთი
დ. აღმაშენებლის ქ. 2
ტელ/ფაქსი: (995 236) 66-439
Email: kobuleti@mbg.com.ge

ქუთაისის ფილიალი
4600 ქუთაისი
თამარ მეფის ქ. 85
ტელ: (995 231) 4-14-14
ფაქსი: (995 231) 4-51-64
Email: kutaisi@mbg.com.ge

ბათუმის ფილიალი
6000 ბათუმი
ლეჟა ასათიანის ქ. 18
ტელ: (995 88 222) 7-24-20
ფაქსი: (995 88 222) 7-19-54
Email: batumi@mbg.com.ge

ქუთაისის ბანკომსახურება
4600 ქუთაისი
წერეთლის ქ. 4
ტელ: (995 231) 4-87-05
Email: kutaisioutlet@mbg.com.ge

ბათუმის ბანკომსახურება
6000 ბათუმი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 88 222) 7-74-19
ფაქსი: (995 88 222) 7-74-19
Email: batumioutlet@mbg.com.ge

ზუგდიდის ბანკომსახურება
2100 ზუგდიდი
თამუკაშვილის ქ. 1
ტელ: (995 215) 5-11-23
ფაქსი: (995 32) 93-43-74
Email: zugdidi@mbg.com.ge

www.mbg.com.ge


## ორი სიტყვით

**თბილისი.** უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ "საქგაზის" სარჩელის განხილვა, ფასების სახელმწიფო ინსპექციის და კონტროლის პალატის წინააღმდეგ, გაურკვეველი ვადით გადადო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძე შესაბამისი სამსახურებისგან "ხრამჰესის" ამოქმედებას ითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ერთობლივი საექსპერტო ჯგუფის მიერ რკინიგზის აფხაზური მონაკვეთის შესწავლა აგვისტოში იგეგმება, - აცნობა ოთხშაბათს ჟურნალისტებს საქართველოში რუსეთის ელჩმა ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების არც ერთი პუნქტი შესრულებული არ არის, თუმცა მათი შესრულების პროცესი მიმდინარეობს, - განაცხადა პრეზიდენტის თანაშემწემ ეკონომიკურ საკითხებში თემურ ბასილიამ. მას იმედი აქვს, რომ 15 აგვისტომდე მთავრობის ერთიანი ძალისხმევით რეკომენდაციების შესრულება აუცილებლად მოხერხდება. "წინააღმდეგ შემთხვევაში, 10 ოქტომბერს ვაშინგტონში დაგეგმილი სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭო საქართველოსთვის არცთუ სახარბიელო გადაწყვეტილებას მიიღებს," - აღნიშნა ბასილიამ. **ინტერ-პრესი**

# უდაი და ქუსაი ჰუსეინების ლიკვიდაცია დასრულებულია



REUTERS

*უდაი და ქუსაი ჰუსეინები საფრთხეს უკვე აღარ წარმოადგენენ.*

უკვე გუშინ, სადამის ვაჟების მოკვლის ფაქტის შესახებ კომენტარები გააკეთეს აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის ლიდერებმა. **"მრავალი წლის განმავლობაში ეს ორი ადამიანი ურიცხვ დანაშაულს ჩადიოდა ერაყელი ხალხის წინააღმდეგ და სიძულვილის აჩრდილი, რომელიც მათ მთელ ქვეყანას მოჰფინეს, ამჟამად უკვე აღარ არსებობს,"** - ნათქვამია თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებაში. რასაკვირველია, ვაშინგტონს არც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ჩამორჩა, რომელსაც ამ ცხელმა ამბავმა ჩინეთში ვიზიტისას მოუსწრო. ტონი ბლერის განცხადებით, უდაის და ქუსაის სიკვდილი **"ახალი ერაყის მნიშვნელოვანი დღეა."**

**"ეს ორი ადამიანი სათავეში ედგა რეჟიმს, რომელიც არა მარტო საფრთხეს წარმოადგენდა თავისი შეიარაღებით, არამედ პასუხისმგებლობა ეკისრება ათასობით ერაყელის წამებისა და მკვლელობისათვის, როგორც ეს მასობრივი სამარხების აღმოჩენით დადასტურდა,"** - განაცხადა ტონი ბლერმა.

სააგენტო "ბიბისის" ცნობით, კოალიციის სარდლობა იმედოვნებს, რომ სადამის ვაჟების დაღუპვა იმ ადამიანების საბრძოლო განწყობას დაამსხვრევს, რომლებიც დღემდე ჰუსეინის ერთგულები არიან და რეჟიმის აღდგენისთვის იბრძვიან. თუმცა, ამ ამბიდან 12 საათის შემდეგ, ერაყელმა პარტიზანებმა მოსულთან და რამადისთან ამერიკულ ავტოკოლონებზე შეტევა განახორციელეს, რის შედეგადაც ორი ამერიკელი სამხედრო დაიღუპა, ხოლო რვა დაიჭრა.

გარდა ამისა, გუშინვე, ანუ უდაის და ქუსეის მკვლელობის მეორე დღესვე, არაბულმა ტელეკომპანიამ ეთერში სადამ ჰუსეინის აუდიოჩანაწერი გადასცა. "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, სადამი ყოფილ ერაყელ ჯარისკაცებს ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლისკენ და აჯანყებისკენ მოუწოდებს. **"11 და 12 აპრილს ჩვენ პარტია ბაასის რეორგანიზება დავიწყეთ და ვაგროვებთ ხალხს მტერთან საბრძოლველად,"** - აცხადებს ერაყის ყოფილი დიქტატორი. მიმართვაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი მისი ვაჟების დაღუპვის შესახებ. ამდენად, სავარაუდოა, რომ აუდიომიმართვა უდაის და ქუსაის დაღუპვამდე რამდენიმე დღით ადრეა ჩაწერილი.

უდაი და ქუსაი ჰუსეინების ლიკვიდაცია, კოალიციისათვის ბაღადადის აღებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი წარმატებაა. ამ მოვლენაზე მნიშვნელოვანი ამის შემდეგ მხოლოდ თავად ყოფილი პრეზიდენტის ლიკვიდაცია თუ იქნება.

სადამის ვაჟები რეჟიმის არსებობაში უდიდეს როლს ასრულებდნენ. ერაყელებში მათი გახსენება მაშინაც კი იწვევდა შიშს, როდესაც მამასთან ერთად ძმები დევნილობაში აღმოჩნდნენ. 39 წლის უდაი ჰუსეინი ერაყის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე და მედიის მფლობელი იყო. მის ხელში რამდენიმე გავლენიანი გაზეთი და ახალგაზრდული ტელეარხი იყო მოქცეული. მასზე ორი წლით უმცროსი ქუსაი კი რესპუბლიკური გვარდიის თავკაცად იყო დანიშნული. ის ასევე აკონტროლებდა ერაყის უშიშროების ძალებს და მმართველ ბაასის პარტიასაც ხელმძღვანელობდა. როდესაც კოალიციის ჯარებმა ა.წ. მარტში ერაყზე იერიში დაიწყეს, უდაი ჰუსეინმა ერაყის ნაციონალური ბანკიდან ერთი მილიარდი ამერიკული დოლარი ნაღდი ფულის სახით გაიტანა. კონსპირაციული ცხოვრება ხომ დიდ თანხებს მოითხოვს. მათ რომ დევნილობაში მოუწევდათ ბოლო დღეების გატარება, ცხადია, კარგად იცოდნენ.

ძმები ჰუსეინების მკვლელობით სადამის ერთგულმა წინააღმდეგობის მოძრაობამ უძლიერესი დარტყმა მიიღო. სავარაუდოა, რომ ამიერიდან ერაყელები უფრო უშიშრად დაიწყებენ კოალიციასთან თანამშრომლობას. სადამის თავი ხომ 25 მილიონ დოლარად არის შეფასებული. ეს ერაყელებმა კარგად იციან. ხოლო ერაყის 25 მილიონიან მოსახლეობაში ყოველთვის მოიძებნება პირი, რომელიც უდაის და ქუსაის მსგავსად მათ მამასაც უყოყმანოდ გაცვლის 25 მილიონ ამერიკულ დოლარზე. სადამის სიკვდილი კი საბოლოოდ გატეხს წელში რეჟიმს, რომელიც ამჟამად პარტიზანული თავდასხმებით და აუდიოჩანაწერებით ახსენებს თავს მსოფლიოს.


bp btc AIOC

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენის პროექტი

პროექტის დოკუმენტაციის საერთაშორისო საჯარო განხილვის პროცესი

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი გულისხმობს კასპიის ზღვის საბადოების ათვისებას, აზერბაიჯანის სანაპირო ზოლში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტი მიზნად ისახავს 1760 კმ სიგრძის მილსადენის მშენებლობას, რომლითაც მოხდება ფიქვენდღიურად ერთ მილიონ ბარელამდე ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან-საქართველოს გავლით, თურქეთის მიმართულებით,საიდანაც ნავთობი შემდეგ მიეწოდება მსოფლიო ბაზრებს,და რომლის ამოქმედება 2005 წლიდან არის დაგეგმილი. ამ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციები ჯამში 10 მილიარდამდე აშშ დოლარს მიაღწევსმაც შორის მოიცავს 3,2 მილიარდ აშშ დოლარს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის I ფაზის განვითარებისათვის და 2,95 მილიარდ აშშ დოლარს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენისათვის. ორივე პროექტს წარმართავს კომპანია "BP",თითოეული ამ პროექტის საერთაშორისო ინვესტორთა ჯგუფების სახელით.

ევროპელი მანდატის ფარგლებში, "საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია" (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს კერძო სექტორში და "ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი" (EBRD) ამჟამად განიხილავენ თითოეული 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის საკითხს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის საბადოების ათვისების I ფაზის პროექტისათვის და თითოეული დაახლებით 150 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსების მიზნით.

პროექტების მთელ ნაცისრი ვალდებულების შესრულების კონტექსტში, რომელიც გულისხმობს პროექტების მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპების რეალიზაციას გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროებისადმი საპასუხისმგებლო დამოკიდებულების პირობებში, პროექტების მონაწილე უმსხვილესი ნავთობის – გადამუშავების მილების პროექტში გაერთიანების და საზოგადოების მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით, რაც, მათ შორის, მოიცავდა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ფარდობითმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი კონსულტაციების და საჯარო განხილვების ორგანიზებას,გასული ორი წლის განმავლობაში. პროექტების ტერიტორიის მცხოვრებთა ჯამში ექვსმა ძირითადმა საზოგადოებრივმა შეხვედრამ, რომელთა ორგანიზებაც განახორციელა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ჯგუფის ეროვნულმა საკონსულტაციო კომპანიამ "ჯორჯიან ფოკუსმა", ასევე ორი ღია საჯარო განხილვა ჩატარდა ბაქოში და თბილისში. ამ შეხვედრებზე დამსწრეთა ჯამში 1000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ამ შეხვედრების ფარგლებში, ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება მიეცა გამოეთქვა თავისი მოსაზრებები და შეხედულებები პროექტების ზემოქმედების "შეფასების" ანგარიშების საჯარო განხილვაზე და ეს დოკუმენტები ფართო საზოგადოების შესწავლის საგანი გახდა,რასაც 2002 წელს მოჰყვა დოკუმენტების დამატებული ტექსტების მოთხოვნების მიერ.

ჭყნარების ტერიტორიაზე პროექტების ზემოქმედების არეალში მოქცეულ მოსახლეობასთან, პროექტების ჭყნარების ხელისუფლების ორგანოებთან და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციების გარდა, ზოგიერთი საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტების მოთხოვნით, რომელიც პროექტის დაფინანსების შესაძლებლობის განსახილავად, უნდა მომზადდეს და საჯარო განხილვის დაექვემდებაროს "გარემოსდაცვითი შეფასების" დოკუმენტაცია,რაც უზრუნველყოფს,იმავე ინსტიტუტების და ორგანიზაციების შესაბამისი პოლიტიკის წესების და სახელმძღვანელო პრინციპების შესრულებას. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, შეიქმნა დიდი მოცულობით დამატებითი დოკუმენტაციის მომზადების აუცილებლობა, რომელიც გაერთიანდა დოკუმენტების ამ პაკეტში, რომელიც ამჟამად არის წარმოდგენილი საჯარო განხილვისათვის.

წინამდებარე განცხადებით იხსნება საჯარო განხილვის 120-დღიანი პერიოდი (2003 წლის 12 ივნისიდან) რომელიც წინ უსწრებს პროექტის დაფინანსების საკითხის განხილვას "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის" და "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" მიერ. ეს ორგანიზაციები მიიწვევენ შეხვედრების და მოსაზრებების მიღების საზოგადოების წევრების,არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების და სხვა დაინტერესებული მხარეებისაგან.

ფართო საზოგადოებას შეუძლია გაეცნოს საჯარო განხილვის მასალებს ინტერნეტ-გვერდზე, რომლის მისამართია www.caspiandevelopmentandexport.com ან მსოფლიო ბანკის "Infoshop"-ში (701 18th Street, N.W., Washington D.C., U.S.A). და EBRD ს საინფორმაციო ბიზნეს ცენტრში (One Exchange Square London საშუალო საათებში).

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტების დოკუმენტაციის ასლების გაცნობა შესაძლებელია ავტორიზებულ ჭყნარის მითითებულ მისამართებზე

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ოფისი,საბურთალოს ჭ.38 თბილისი,ტელეფ: 59 34 00

რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი კოკაისისათვის ჭავჭავაძის პრ. 74,ოთახი 901,თბილისი

ილია ჭავჭავაძის სახელობის საჭართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გუდიაშვილის ჭ. 7,თბილისი

რუსთავის მერიაში ,ქოსტავას ჭ.20,რუსთავი

ახალციხის მერიაში ,ქოსტავას ჭ.38,ახალციხე

შეკითხვები და კომენტარები უნდა მიეწეროს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის თბილისის ოფისს ან გაეგზავნოს "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას" და "ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს" მათი ინტერნეტ-მისამართების მეშვეობით (www.ifc.org or www.ebrd.com )


# ტერაქტი ნიუ-იორკის მერიაში

REUTERS

*მაიკლ ბლუმბერგი საგანგებო პრესკონფერენციაზე.*

პირველი გვერდიდან

"სი-ენ-ენ"-ის ცნობით, ჯერ კიდევ დაუდგენელი იყო, თუ როგორ გადალახა ორმოც წლამდე ასაკის შეიარაღებულმა ტერორისტმა მერიის დაცვის სისტემა და როგორ შეიჭრა დარბაზში. ამერიკელი სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ ტერორისტი მარტო არ მოქმედებდა და ვერც შორს წავიდოდა. ტერაქტიდან ორი საათის შემდეგაც მერიის შენობაში პანიკა სუფევდა, რადგან პოლიციამ და სპეცსამსახურებმა ვერ შეძლეს ტერორისტის დაკავება.

არსებობს სხვა ვერსიაც: ტერაქტიდან 4 საათის შემდეგ სააგენტო "ფოქს-ნიუსმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ მეორე დაღუპული სწორედ თავდამსხმელი იყო, რომელმაც ცეცხლი პოლიტიკურ ოპონენტებს გაუხსნა. იგი დარბაზში მყოფმა, სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულმა პოლიციელმა დაცხრილა.

ნიუ-იორკის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ინციდენტის დროს იგი საქალაქო საბჭოს დარბაზში იმყოფებოდა და სრულიად გამორიცხავს ტერორიზმის ვერსიას.

**"ეს იყო კერძო შემთხვევა, მაგრამ ჩვენ არ დავუშვებთ, რომ იგივე ოდესმე განმეორდეს. ეს თავდასხმა ამერიკელ ხალხზე თავდასხმაა"**, - თქვა ბლუმბერგმა.

# არიელ შარონი პალესტინელ პატიმრებს არ ათავისუფლებს

პალესტინის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა შეშფოთება გამოთქვეს ისრაელის ხელისუფლების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც თელ-ავივმა უარი თქვა დატყვევებული პალესტინელების გათავისუფლებაზე. ისრაელის რადიომ გადასცა მინისტრთა კაბინეტის განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ პრემიერ-მინისტრმა ქვეყნის სპეცსამსახურებთან და პალესტინის მხარესთან კონსულტაციების შემდეგ, გადაწყვიტა არ გაათავისუფლოს "ჰამასის" და "ისლამური ჯიჰადის" დაპატიმრებული წევრები. ამის საპასუხოდ, პალესტინის მინისტრმა პატიმართა საკითხებში ხიშამ აბდელ-რაზექმა განაცხადა, რომ ამგვარ მოქმედებას პოლიტიკური პროცესი ჩიხში შეჰყავს.

როგორც ცნობილია, პალესტინის ადმინისტრაცია დაჟინებით ცდილობს, აიძულოს ისრაელი სამშვიდობო გეგმის - "საგზაო რუკის" ერთ-ერთი მთავარი პუნქტის შესრულება, რომელიც დაპატიმრებული პალესტინელების გათავისუფლებას შეეხება. ისრაელის მხარე კი ამტკიცებს, რომ ამ ეტაპზე ამ პუნქტის შესრულება ტერორიზმის გაძლიერებას შეუწყობს ხელს, რაც სამშვიდობო პროცესზე ნეგატიურ გავლენას მოახდენს. თუმცა, "ჰამასმა" და "ისლამურმა ჯიჰადმა" 29 ივნისს, როდესაც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება, განაცხადეს, რომ მათი პირობა ძალაში დარჩება, თუკი ისრაელი ციხეებიდან გაათავისუფლებს მათ თანამებრძოლებს. ამჟამად ისრაელის ციხეებში ექვსი ათასამდე პალესტინელი იხდის სასჯელს. პალესტინის ადმინისტრაცია უკლებლივ ყველას გათავისუფლებას მოითხოვს, ისრაელმა კი მხოლოდ 350 მსჯავრდებულის გამოშვებაზე განაცხადა თანხმობა. გარდა ამისა, ისრაელის სამთავრობო კომისიამ შესაძლოა, დამატებით კიდევ 100 პატიმრის საქმეს გადახედოს და მთავრობას მათი შეწყალების რეკომენდაციაც წარუდგინოს. ეს არის და ეს.

პარასკევს პალესტინის პრემიერ-მინისტრის მაჰმუდ აბასის ვაშინგტონში ვიზიტია დაგეგმილი. დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ პალესტინელი პატიმრების საკითხი ამ შეხვედრაზე აუცილებლად განიხილება.

# დასავლეთმა უნდა დაარწმუნოს რუსეთი, თავი დაანებოს სამხრეთ კავკასიას

*"მშვიდობის, განვითარებისა და დემოკრატიის კავკასიური ინსტიტუტის" პროექტის ფარგლებში, "24 საათმა" ონლაინ-ინტერვიუ აიღო რუსეთში აზერბაიჯანის ყოფილი ელჩისა და ყოფილი ვიცე-პრემიერის ჰიკმეტ გაჯიევისაგან. ჰიკმეტ გაჯიევი აზერბაიჯანის მთავარი ოპოზიციური პარტიის - "მუსავათის" ერთ-ერთი ლიდერიცაა.*

რევაზ ბახტაძე

**- ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მამა-შვილმა ალიევებმა თავიანთი კანდიდატურები წამოაყენეს. თქვენი აზრით, რა გათვლა უდევს საფუძვლად ამ გადაწყვეტილებას და როგორი შანსები აქვთ ოპოზიციის კანდიდატებს?**

- გათვლა მარტივია. თუ საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას მოქმედი პრეზიდენტი ცოცხალი იქნება, მაშინ ამჟამინდელი კლანის საბოლოო კანდიდატი მისი შვილი გახდება. თუმცა, შიდაპოლიტიკური ვითარება დაძაბულია და წინასწარ რამის თქმა ძნელია. ალიევებს შანსები აქვთ, მაგრამ ამ გაურკვევლობის პირობებში დანამდვილებით არავის შეუძლია არჩევნების შედეგების პროგნოზირება. თითქოს ძალა მათ მხარეზეა, მაგრამ გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდი: დასავლეთის ვერცერთმა ანალიტიკურმა ცენტრმა ამ გიგანტური კოლოსის დაშლის წინასწარ განჭვრეტა ვერ შეძლო. ასე რომ, ჩვენი კოლოსის მომავალი ჯერჯერობით უცნობია.

მოხუცი კარგად არ არის. მისი ვაჟი არც თუ ისე თავდაჯერებულია. აზერბაიჯანის გარშემო საერთაშორისო ვითარება დაძაბულია. შესაძლოა, ამერიკა-ირანის დაპირისპირება გაძლიერდეს. ამას გარდა, ოპოზიციის ორი მთავარი კანდიდატი (რასულ გულიევი და აიაზ მუთალიბოვი) ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება. დემოკრატიულმა ოპოზიციამ საერთო კანდიდატის წამოყენება, ფაქტობრივად, გადაწყვიტა. ამასთანავე, აზერბაიჯანზე დიდ ზეწოლას ევროპული სტრუქტურები ახდენენ. შექმნილ ვითარებაში მკითხაობა უნდა შევწყვიტოთ და სიზიფეს შრომა განვაგრძოთ.

**- განსხვავდება თუ არა საპრეზიდენტო კანდიდატების საგარეოპოლიტიკური შეხედულებები ერთმანეთისაგან?**

- ჩვენ უკვე 19 კანდიდატი გვყავს. მათ შორის არიან ისეთები, რომლებიც დასავლეთზე არიან ორიენტირებულები და - ისეთებიც, რომლებიც რუსეთისაკენ იყურებიან. რაც შეეხება დემოკრატიულ ოპოზიციას, შეიძლება ითქვას, რომ მისი, სავარაუდო კანდიდატი ამჟამინდელ საგარეოპოლიტიკურ კურსს დაუჭერს მხარს, რომელიც ჯერ კიდევ 1992 წელს განისაზღვრა: "დასავლეთისაკენ", ოღონდ რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით.

**- თქვენი აზრით, როგორ განვითარდება აზერბაიჯანისა და რუსეთის მომავალი ურთიერთობები?**

- დღეს რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებმა გარკვეული კონტურები შეიძინა. ამ ურთიერთობებში მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს: ა) რუსეთის მიერ მხარდაჭერა სომხეთისა, რომელსაც აზერბაიჯანული მიწები ოკუპირებული აქვს; ბ) რუსეთის სურვილი, კასპიური ნავთობი აკონტროლოს; გ) აზერბაიჯანის, როგორც მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძის კონტროლის სურვილი, რომელიც ჩრდილოეთსა და სამხრეთს და აღმოსავლეთსა და დასავლეთს ერთმანეთთან აკავშირებს. ამის მიუხედავად, აზერბაიჯანის ამჟამინდელმა ხელისუფლებამ რუსეთთან გარკვეული კომპრომისის მიღწევა მაინც შეძლო. რუსეთის მიერ სომხეთის აგრესიის მხარდაჭერაზე თვალის დახუჭვით, აზერბაიჯანის მთავრობა რუსეთთან ყველა პრობლემატურ საკითხზე აგრძელებს თანამშრომლობას, მათ შორის - კასპიის ზღვის განაწილებაზე. რუსეთის ბრძოლას ჩეჩნეთის სეპარატიზმის წინააღმდეგ აზერბაიჯანი მთლიანად მხარს უჭერს. ვფიქრობ, რომ ნებისმიერ მთავრობას ამ პირობების მიღება მოუწევს. ასე მანამ გაგრძელდება, სანამ გეოპოლიტიკური ვითარება არ შეიცვლება. მოკლედ რომ ვთქვათ, სანამ დასავლეთი არ შეძლებს რუსეთის დარწმუნებას, რომ სამხრეთ კავკასიას თავი დაანებოს.

**- ბოლო ხანს რეგულარულად ჩნდება ცნობები სასაზღვრო რაიონებში აზერბაიჯანისა და სომხეთის არმიების შეტაკებებზე. შესაძლოა თუ არა, რომ ეს სერიოზულ სამხედრო მოქმედებებში გადაიზარდოს?**

- მე საზღვარზე ვერავითარ დაძაბულობას ვერ ვხედავ. ინციდენტები, რომლებსაც ამჟამად აქვს ადგილი, 1994 წელს ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ გამუდმებით ხდება. ამ ვითარების - "არც ომი, არც მშვიდობა" - შედეგად, სასაზღვრო რაიონებში ორივე მხრიდან 2000 კაცზე მეტი დაიღუპა.

**- როგორ ხედავს თქვენი პარტია - "მუსავათი" - ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების გზებს? როგორია სხვა პოლიტიკური ძალების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ?**

- "მუსავათი" ამ საკითხს შემდეგნაირად ხედავს: მთიან ყარაბაღში მცხოვრებ სომხებს ყველანაირი უფლებები უნდა მიენიჭოთ, რომელიც ჩვენი კონსტიტუციით, ევროპული კონვენციით და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით არის გათვალისწინებული. მთიან ყარაბაღს შეიძლება ავტონომია მიენიჭოს - ფართო უფლებამოსილებები სამოქალაქო, კულტურულ და ეკონომიკურ საკითხებში. მთიან ყარაბაღში მცხოვრებ სომხებს მჭიდრო ურთიერთობები ექნებათ სომხეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ სომხებთან. ყველა ეროვნების ლტოლვილი კი უკან უნდა დაბრუნდეს.

ისე, მე ყარაბაღის საკითხში სხვადასხვა მხარეების მიდგომებს შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. ჩვენ პრობლემის მოგვარებას, გაერო-ს რეზოლუციების საფუძველზე, მშვიდობიანი გზით შევეცდებით. თუ ეს არ გამოვა, მაშინ ომი გარდაუვალი იქნება. ამის შესახებ ხელისუფლებასა და ოპოზიციას ერთი აზრი აქვთ.

**- თქვენი აზრით, როდის შეიძლება ითქვას, რომ ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების რესურსები ამოიწურა?**

- ამაზე ზუსტი პასუხი არ არსებობს. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ როგორც კი რომელიმე მხარე ხელშესახებ სტრატეგიულ უპირატესობას მოიპოვებს, მაშინვე განაცხადებს, რომ მშვიდობიანი მოგვარების საშუალებები ამოწურულია და დროა, ომი დაიწყოს.

**- მოსალოდნელია თუ არა ირანის ჩრდილოეთით, აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონებში "აფეთქება" და რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამან რეგიონზე?**

- მართალია, ირანში დაძაბულობაა, მაგრამ მე კონკრეტული თარიღების დასახელება გამიჭირდება. მოვლენები ირანსა და სამხრეთ აზერბაიჯანში (ირანის ჩრდილოეთში აზერბაიჯანელებით დასახლებული დიდი ტერიტორიაა. მათი რიცხვი, სხვადასხვა შეფასებებით, დაახლოებით, 20 მილიონია. – რ.ბ) შესაძლოა, შემდეგი სცენარებით განვითარდეს: ა) ირანის მასშტაბით ლიბერალური რეფორმები განხორციელდეს, რომლის შედეგად, აზერბაიჯანელები საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს მიიღებენ, მათ შორის, კულტურულ უფლებებსა და თვითმმართველობის საშუალებას; ბ) ირანი განიარაღდება და მასობრივი განადგურების იარაღზე უარს იტყვის, მაგრამ ამჟამინდელი რეჟიმი ხელისუფლების სათავეში დარჩება; გ) ირანში ფედერალური რესპუბლიკები ჩამოყალიბდება, რომელიც საკუთარი რეჟიმის განსაზღვრას თავად შეძლებს; დ) ირანი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაიშლება.

ზემოაღნიშნული ოთხივე სცენარი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის ხელსაყრელია, რამდენადაც ირანის ამჟამინდელი, ძნელად პროგნოზირებადი რეჟიმისაგან მომავალი საფრთხე შემცირდება.

# ჯადოქარი

ნინო I

## ცხელი ზაფხულის ცხელი ამბები

ზაფხულში უამრავი რამ ხდება. მთელი წლის მძიმე სამუშაო განრიგით გადაღლილი ხალხი ისვენებს და გართობის ორიგინალურ ხერხებს ეძებს. აი, თუნდაც ისეთს, როგორიც, თურმე, დევიდ ბექჰემმა იპოვა, ინგლისის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავმა, "რომელსაც, ყველაფერთან ერთად, ფეხბურთის თამაშიც შეუძლია", - ასე ახასიათებს ინგლისური გაზეთი "მირორი" თანამემამულე ფეხბურთელს. "სპაის ბოის" ამ მოკლე დროში ორი მეტად საინტერესო ამბავი გადახდა და ორივე "მირორის" ჭორიკანა ჟურნალისტებმა აცნობეს საზოგადოებას. მოკლედ, საცოდავი ბექჰემი ლოგინში ვერ გადაბრუნებულა ისე, რომ პრესამ არ გაიგოს.

პირველი ამბავი, მართლაც, ძალიან სასაცილოა. დევიდი და ვიქტორია საფრანგეთში ისვენებდნენ. კაპ დ`ანტიბეში ცნობილ ინგლისელ მომღერალს, სერ ელტონ ჯონს აქვს საკუთარი ვილა, რომელიც სიამოვნებით დაუთმო მეგობარ ცოლ-ქმარს. "ბექსი" მომავალი სეზონისთვის ემზადებოდა და ყოველდღე დარბოდა საზოგადოებრივ პარკში. "სპაის ბოი" საინტერესოდ გამოიყურებოდა: წელზევით შიშველი, ჯინსის შორტით, თეთრი კეპით და ყურებში გაჩრილი "ვოკმენით". ბუნებრივია, ასე მორთულ ბექჰემს სულაც არ უნდოდა, რომელიმე აბეზარი პაპარაცის ლუკმა გამხდარიყო და ეჭვით შეჰყურებდა ყველა უწყინარ მოქალაქეს, ვინც, ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესების სურვილით შეპყრობილი, გვერდით ჩაურბენდა. ხომ გაგიგონიათ, მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო. პატივცემულ "სპის ბოისაც" ასე დაემართა. რაკი სულ პაპარაცებზე ფიქრობდა და ყველგან მათ გამოჩენას ელოდა, სიტუაცია ვეღარ გააკონტროლა და მოტოციკლზე ამხედრებული ერთი სრულიად ჩვეულებრივი მამაკაცი გზიდან გაადაგდო, - ჩემი ფარულად გადაღება გინდაო. როგორც გაირკვა, "ბექსის" აგრესიის მსხვერპლი, თურმე, სულაც არ ყოფილა ფოტოგრაფი და აზრადაც არ მოსვლია "რეალის" ახალი ვარსკვლავის დაფიქსირება. დარცხვენილ ბექჰემს ისღა დარჩენოდა, მოტოციკლისტისთვის ბოდიში მოეხადა. ფეხბურთელმა დიდი თავაზიანობა გამოიჩინა - უცნობ მამაკაცს მოტოციკლზე შეჯდომაში დაეხმარა და ბილეთსაც კი შეპირდა "რეალის" პირველ მატჩზე. ასე რომ, პაპარაცად მიჩნეული ფრანგისთვის ეს ინციდენტი მეტად სასიამოვნოდ დასრულდა.

მეორე ამბავმა კი ბექჰემის ქვენა გრძნობები და მისწრაფებები გამოიტანა სააშკარაოზე. ამჯერად "ბექსი" ლონდონის ერთ-ერთ სექსშოპში გამოიჭირეს. "მან იუს" ექსვარსკვლავის "Agent Provocateur"-ში გამოჩენამ მაღაზიის კლიენტები დიდად დააინტერესა. ერთ-ერთი მოქალაქე იმდენად ცნობისმოყვარე აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელს უკან აედევნა და მანამდე არ მოშორებია მას, ვიდრე ბექჰემმა მაღაზია არ დატოვა. ნანახით აღფრთოვანებული ლონდონელი მაშინვე "მირორის" რედაქციაში გაქანდა და ჟურნალისტებს ყველაფერი უამბო. როგორც ეს მეტიჩარა თვითმხილველი ირწმუნება, ბექჰემი, თურმე, დიდხანს ფიქრობდა, რა შეეძინა "სექსშოპში". ჯერ გამჭვირვალე ბიუსტჰალტერი აირჩია ვიქტორიასთვის, მერე კი ინტერესით დადიოდა უცნაური ნივთებით სავსე თაროებს შორის და აღარ იცოდა, რა აერჩია - ხელბორკილები, საშინლად ვიწრო კორსაჟი, მათრახები თუ კიდევ სხვა რამ. ბოლოს, ხანგრძლივი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ, ინგლისის ნაკრების კაპიტანმა ტყავის ორი მათრახი შეარჩია - ერთი ვარდისფერი, მეორე კი შავი და კმაყოფილი სახით გაემართა სალაროსკენ ფულის გადასახდელად. ბექჰემს ცალ ხელში მათრახები ეჭირა, მეორეს კი მაგრად უჭერდა მეტად ორიგინალურ ხელბორკილებს. ჯერ ორივეს ყიდვას აპირებდა, მაგრამ ბოლო წუთებში გადაიფიქრა და სალარომდე მხოლოდ მათრახები მიიტანა. ხელბორკილები, ალბათ, მეტად სასტიკი ეჩვენაო, - მიიჩნიეს "მირორის" ჭორიკნებმა. ფარულმა მდევარმა "ბექსი" სალარომდე მიაცილა, ისიც ნახა, რომ ფეხბურთელმა მათრახებში 250 გირვანქა სტერლინგი (352 ევრო) გადაიხადა. ნავაჭრით კმაყოფილი "ბექსი" შინ წავიდა, მდევარმა კი "მირორს" მიაშურა. მეორე დღეს უკვე მთელმა ევროპამ იცოდა, როგორ გააბედნიერა ბექჰემმა "Agent Provocateur" თავისი სტუმრობით. ბექჰემის და ვიქტორიას უცნაურობის ამბავი ყველასთვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ აქამდე არავინ იცოდა, თუ ეს პიკანტური წყვილი ეროტიკულ თამაშებში მათრახებს და ხელბორკილებს იყენებდა. ან იქნებ ვიქტორია არც არის გათვალისწინებული ამ თამაშში და ბექჰემს ეს სტიმულატორები სულ სხვა ქალისთვის სჭირდებაო? - რიტორიკულად კითხულობს "მირორი," რომელსაც ჯერჯერობით პასუხი არ მიუღია...

## TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 24 ივლისი

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ბაია" - "კორინთიანსი"
15:00 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
15:30 "დარტყმა გოლისთვის"
15:45 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "ბრეშა" - "ლაციო"
17:30 საერთაშორიოს ტურნირი. "Champions World" აშშ-ში. "მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი) - "სელტიკი" (შოტლანდია)
19:15 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:35 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ბაია" - "კორინთიანსი"
21:20 "FUTBOL MUNDIAL"
21:50 "რეალი" (მადრიდი)
22:50 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "ბავარია" (გერმანია) - "დინამო" (უკრაინა)
00:35 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "ლივერპული" - "არსენალი"
02:20 02:20-დან 13:00-მდე შესვენება
05:35 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ბაია" - "კორინთიანსი"

**НТВ + СПОРТ**
11:00, 16:30, 20:30 პრესცენტრი
11:15, 20:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 "პოსტსკრიპტუმი"
12:45 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ნახევარფინალები. შესვენებისას (13:45) პრესცენტრი
15:00 ფრენბურთი. გრან-პრი იტალიაში. ქალები. ბრაზილია - რუსეთი
16:45 ფრენბურთი. გრან-პრი იტალიაში. ქალები. იტალია - კუბა
16:00 გოლფი. "ბრითიშ ოუფენ". მეორე დღე
20:00 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:50 ისტორია. რუსეთის ჩემპიონატები ჰოკეიში. სეზონი 2002-2003
23:55 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (01:00) ახალი ამბები
02:15 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა

**EUROSPORT**
11:30 აფროსნობა
12:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
13:45 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი
14:45 ფეხბურთი. იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი ლიხტენშტაინში
16:45 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
21:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
23:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
01:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
02:00 ახალი ამბები
02:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
02:45 კიკბოქსინგი
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# სანამ მეოთხე საკვალიფიკაციო ეტაპს შემოიღებდნენ...

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ ქართული ფეხბურთის და თბილისის "დინამოს" ისტორიაში კიდევ ერთი შავი ფურცელი ჩაიწერა: საქართველოს ჩემპიონმა და ყველა დროის საუკეთესო კლუბმა ვერ შეძლო 3-ბურთიანი უპირატესობის შენარჩუნება და მეორე ალბანური სირცხვილი იგემა.

ივო შუშაკმა პირობა არ დაარღვია: მან ზუსტად ისეთივე შემადგენლობა გამოიყვანა ამ მატჩზე, როგორიც ერთი კვირის წინ, "დინამოსა" და "ტირანას" თბილისურ შეხვედრაში. მაგრამ, ალბათ, ჯობდა, რომ ეს პირობა არ დაეცვა და ყველა სხვა მწვრთნელივით, საკუთარ მოედანზე მოპოვებული სოლიდური, თანაც "მშრალი" "ფორის" შესანარჩუნებლად თამაშის დაცვითი ვარიანტი აერჩია. ეს ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა და არ მინდა, რომ ვინმემ იფიქროს, თითქოს ხორვატ სპეციალისტს ჭკუას ვასწავლიდე. შუშაკის სამწვრთნელო ღირსებებში ეჭვის შეტანას სულაც არ ვაპირებ. თუმცა კი, იმასაც გავიხსენებ, რომ ალბანეთში გამგზავრებამდე "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა ასეთი რამ განაცხადა: "ამ ორრაუნდიან დაპირისპირებაში ის გაიმარჯვებს, ვინც უფრო ჭკვიანურად ითამაშებს. მე და ჩემს ფეხბურთელებს საკმარისი საფეხბურთო განსწავლულობა გაგვაჩნია იმისათვის, რომ ალბანური "ტირანას" ბარიერი გავიაროთ და ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდეთ". ჩვენთვის, "დინამოსთვის" და თავად შუშაკისთვის სამწუხაროდ, ამ "საფეხბურთო განსწავლულობაზე" საუბარი დღეს ყველა გულშემატკივარში, ალბათ, სევდიან ირონიას გამოიწვევს. იმასაც გავიხსენებ, რომ "დინამოს" რამდენიმე ფეხბურთელი გადახტომამდე უკვე "ჰოპას" იძახდა და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში "გრაცერთან" დაპირისპირებაზე და ავსტრიული ბარიერის გადალახვის სავარაუდო შესაძლებლობაზე საუბრობდა. იმედია, ალბანური "ცივი შხაპი" ამ ფეხბურთელებს ჭკუას ასწავლის.

ზოიძემ "დინამოს" ტირანაში ვეღარ უშველა.

თავად თამაშზე ბევრს ვერას მოგახსენებთ. "დინამოსთან" განმეორებით მატჩში სრულფასოვანი რევანშის აღების და შემდეგ ეტაპზე გასვლის ვარაუდის გამო ალბანელი ჟურნალისტების მიერ გიჟად შერაცხულმა სულეიმან მემას შეგირდებმა საკუთარი მწვრთნელის მიერ დასმული ამოცანა შეასრულეს: სწრაფი გოლი გაიტანეს. ლიციმ ზოიძის კარი უკვე მე-14 წუთზე დალაშქრა. აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმის 22-ე წუთზე ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო გიორგი ანჩაბაძემ, ვის მაგივრადაც შუშაკმა კანდელაკი შეიყვანა მოედანზე. "დინამომ" პირველ ტაიმში მეტი გოლი აღარ გაუშვა, თუმცა კი, შეხვედრის მე-60 წუთზე ფორტუციმ, რომელმაც თბილისში თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა, ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა. მანამდე შუშაკმა კიდევ ერთი მოულოდნელი სვლა გააკეთა: 55-ე წუთზე თამაშიდან მოხსნა ლევან მელქაძე, რომელიც ერთი გატანილი გოლით და ორი საგოლე გადაცემით თბილისური მატჩის გმირია და მის ნაცვლად შეხვედრაში სამხარაძე ჩართო. მეორე გოლის მიღების შემდეგ ხორვატმა სპეციალისტმა უკვე დარასელიაც გამოცვალა და კარლოს და როჩას გამოშვებით თავისი გუნდის მორღვეული დაცვითი რედუტების გამაგრებას შეეცადა, მაგრამ ამოტრიალებული ურმის ფეხზე წამოყენება ვეღარ მოახერხა: 84-ე წუთზე ჰალილმა ორი მატჩის ჯამში სტატუს-ქვო აღადგინა. იყო ერთი მომენტიც, რომელსაც შეიძლებოდა საქართველოს ჩემპიონის გადარჩენა, მაგრამ ახალაიას მიერ 87-ე წუთზე გატანილი გოლი მსაჯმა არ ჩათვალა – თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

პენალტების, გნებავთ ლატარიის სერიაში "დინამოს" ვეღარც ზოიძე უშველა. როგორც ჩანს, თბილისში ფორტუცის მიერ შესრულებული თერთმეტმეტრიანი დარტყმის მოგერიებით მან "ტირანასთან" პენალტების აღების ლიმიტი ამოწურა. თავის მხრივ, ვერც მინდვრის მოთამაშეებმა ივარგეს: გოგობერიშვილმა პირველივე დარტყმა მიზანს აცილა, ხიზანეიშვილმა და სამხარაძემ კი გაიტანეს, მაგრამ მეოთხე, ახალაიას დარტყმული მასპინძელთა ნიგერიელმა მეკარემ მოიგერია და გახარებული თანაგუნდელების მილოცვების ობიექტი გახდა, რომლებმაც ოთხივე თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულეს.

"ტირანამ" დამსახურებულად გაიმარჯვა და ჩემპიონთა ლიგის შემდეგ ეტაპზე დამსახურებულად გავიდა", - ასეთი მოკლე და მრავლისმეტყველია შუშაკის მატჩისშემდგომი კომენტარი, რომელიც ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე სწრაფად გასცილდა შეკრებილ ჟურნალისტებს.

მატჩის დასრულების შემდეგ ნაცნობმა მკითხა, ეს მარცხი "დინამოს" რეიტინგზე ხომ არ იმოქმედებს და კიდევ უფრო უკან ხომ არ დაგვხევსო. ხოლო როცა შეიტყო, რომ ამაზე "უკან" აღარ არსებობს და რაც არ უნდა მოხდეს, ჩემპიონთა ლიგის სამეტაპიანი საკვალიფიკაციო ტურნირის ყველაზე დაბალ – მესამე შესარჩევ რაუნდში მაინც დაგვიშვებენ, გულწრფელად თქვა: "გააკეთოს უეფამ მეოთხე საკვალიფიკაციო ეტაპი, იქნებ მაშინ მოვუგოთ ვინმეს".

ორი წლის წინ "დინამო" ალბანეთის "ვლაჟნიამ" დამოთიშა უეფას თასის გათამაშებას. წელს უკვე "ტირანამ" არ დაინდო. ძალიან მალე, ალბანურ ფეხბურთთან კიდევ ორი დაპირისპირება გველის: საქართველოს და ალბანეთის ეროვნული გუნდების შესარჩევი მატჩები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული მხრიდან მთავარი მოქმედი პირები (მწვრთნელი და ფეხბურთელთა უმეტესობა) არ შეიცვლება, ძნელია, წარმატების იმედი გვქონდეს.

**ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი**

**განმეორებითი მატჩები**

| | | |
|---|---|---|
| ფლორა (ესტონეთი) - **შერიფი (მოლდოვა)** | 1:1 | (0:1) |
| **კაუნასი (ლიტვა)** - ტორსპავნი (ფარერები) | 4:1 | (1:0) |
| **ბოჰემიანსი (ირლანდია)** - ბატე (ბელორუსი) | 3:0 | (0:1) |
| ბარი თაუნი (უელსი) - **ვარდარი (მაკედონია)** | 2:1 | (0:3) |
| **ლეოტარი (ბოსნია)** - გრევენმახერი (ლუქსემბურგი) | 2:0 | (0:0) |
| **ჰიკ (ფინეთი)** - გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) | 1:0 | (0:0) |
| სკონტო (ლატვია) - **სლიმა (მალტა)** | 3:1 | (0:2) |
| ირტიში (ყაზახეთი) - **ომონია (კვიპროსი)** | 1:2 | (0:0) |

# ძველებური „მანჩესტერი"

ვინ თქვა, "მანჩესტერი" ძველებურად ვეღარ ითამაშებსო? ვინ თქვა, რომ ბექჰემის გაყიდვა კლუბისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისია? შოტლანდიის "სელტიკის" დამარცხების შემდეგ ფერგიუსონის გუნდმა დაამტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევია და "მანჩესტერი" კვლავაც მსოლფიოს ერთერთ უძლიერეს კლუბად რჩება. იმასაც ამბობდნენ, ამერიკელებს ფეხბურთი საერთოდ არ აინტერესებთ, მის საყურებლად მაგათ სტადიონზე ძალითაც ვერ შეიყვანთო.

"მანჩესტერისა" და "სელტიკის" თამაშს სიებლში 67 000 გულშემატკივარი დაესწრო. არც შემცდარან, თამაში, მართლაც, საინტერესო და კარგი საცქერი გამოვიდა. ეს, ძირითადად, ინგლისელთა დამსახურებაა - მათ მეტოქეს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს. "სელტიკის" განადგურება მე-7 წუთზე დაიწყო რუუდ ვან ნისტელროიმ, ტაიმის ბოლომდე კი მას გიგზმა და სოლსკიაერმა აუბეს მხარი.

მეორე ტაიმი სანახაობრივად პირველზე უარესი გამოდგა, თუმცა, მაყურებელმა გოლი მაინც იხილა - "მანჩესტერის" ახალწვეულმა, ფრანგმა დავიდ ბელიორმა გამოიჩინა თავი. "ჩვენ ძალიან ძლიერ მეტოქესთან დავმარცხდით. ნურავინ იტყვის, რომ "მანჩესტერი" დასუსტდა. ის კვლავაც მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად რჩება", - მატჩის შემდეგ განაცხადა შოტლანდიელთა თავკაცმა მარტინ ონილმა.

სანამ ინგლისის ჩემპიონი ამერიკაში ემზადება მომავალი სეზონისთვის, ჩემპიონობის მსურველები სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობენ და შემადგენლობის გაძლიერებას ცდილობენ. მეპატრონის შეცვლის შემდეგ გამდიდრებულმა ლონდონის "ჩელსიმ", როგორც იქნა, წერტილი დაუსვა დამიენ დაფის ლონდონში გადაბარგების ეპოპეას - ირლანდიელმა ნახევარმცველმა გუშინწინ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა "ჩელსისთან". ფეხბურთელის სანაცვლოდ ლონდონელებმა 17 მილიონი გირვანქა გაიღეს, რაც სარეკორდოა კლუბის ისტორიაში. აქამდე ლონდონელთა ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი ჰოლანდიელი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი იყო - ორი წლის წინათ "ჩელსიმ" ის 15 მილიონად იყიდა მადრიდის "ატლეტიკოსგან".

ჯერჯერობით არც ერთი ხმაურიანი ტრანსფერი არ განუხორციელებია "არსენალს". მართალია, ლონდონელები შემადგენლობის გაძლიერებას აპირებენ, მაგრამ, კლუბის ხელმძღვანელობის თქმით, ხმაურიანი და ძვირად ღირებული ტრანსფერის განხორციელებას არ აპირებენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამის საჭიროება არ არის. დღესდღეობით "მეთოფეთა" ყველაზე დიდი პრობლემა მეკარეა. დევიდ სიმენის წასვლის შემდეგ არსენ ვენგერი მეკარის ძიებაშია და, როგორც ჩანს, მიაგნო კიდეც. რუსული პრესის მიხედვით "არსენალმა" "ლოკომოტივის" მეკარის სერგეი ოვჩინიკოვის მიმართ გამოიჩინა ინტერესი. ოფიციალური განცხადება "ლოკომოტივის" მხრიდან ჯერ არ ყოფილა. ლონდონელთა წარმომადგენელმა კი განაცხადა, რომ მათ უკვე მიმართეს "ლოკომოტივს" მეკარის გაყიდვის თაობაზე. რუსთა დუმილის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ კლუბს დიდად არ სურს მეკარის გაყიდვა. მართალია, ეს ფინანსურად ხელსაყრელი იქნება, მაგრამ ჩემპიონთა ლიგისთვის უმეკარეოდ დარჩენა არავის სურს. "ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია, რაიმე განვაცხადოთ ამ საკითხთან დაკავშირებით. ნებისმიერ შემთხვევაში კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედებთ. ბუნებრივია, არ გვსურს მცირე ფინანსური მოგების სანაცვლოდ ლიგაზე წარუმატებლად გამოვიდეთ", - ნათქვამია "ლოკომოტივის" პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ინფორთეკა

**ფეხბურთი.** 30 ათასი გულშემატკივრის ოვაციის თანხლებით "ბარსელონას" პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ ბრაზილიელ რონალდინიოს "ბარსას" 10-ნომრიანი მაისურა გადასცა. რონალდინიო კატალონიურ კლუბში სწორედ მეათე ნომრით ითამაშებს. ცუდი ამბავი ხუან რამონ რიკელმესთვის: 10-ნომრიანი მაისურა სწორედ მას ეკუთვნოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ "ბარსელონამ" რიკელმე ტრანსფერზე დააყენა და არგენტინელს ახალი კლუბის ძიება მოუწევს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლევერკუზენის "ბაიერის" ბრაზილიელ მცველ ლუსიოზე ნადირობა გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელის შეძენასთან ყველაზე ახლოს იყო იტალიური "რომა", ამ ტრანსფერის განხორციელების ალბათობა სულ უფრო ნაკლები ხდება. ლუსიოს გვარი კვლავინდებურად ფიგურირებს "მილანისა" და მადრიდის "რეალის" სასურველ ფეხბურთელთა სიებში. ბრაზილიელი მცველით ტურინის "იუვენტუსიც" არის დაინტერესებული.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მილანის" მიერ მადრიდის "ატლეტიკოში" განათხოვრებული დემეტრიო ალბერტინი სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ კარიერას განაგრძობს არა ყოფილ კლუბში, არამედ რომის "ლაციოში". ალბერტინიმ "ლაციოსთან" ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ალბერტინის რომაულ კლუბში გადასვლა გაცვლით ოპერაციას მოჰყვა. ალბერტინის სანაცვლოდ, "მილანში" "ლაციოს" 31 წლის ნახევარმცველი, ჯუზეპე პანკარო გადავიდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსიმ" კლუბის სათავეში აბრამოვიჩის მოსვლის შემდეგ უკვე მეოთხე ტრანსფერი განახორციელა. ჯონსონის, ჯერემისა და ბრიჯის შემდეგ, აბრამოვიჩმა "ბლექბერნ როვერსისა" და ირლანდიის ნაკრების 24 წლის თავდამსხმელი დემიენ დაფიც შეიძინა. ფეხბურთელის "ჩელსიში" გადასვლაზე საუბარი ორი კვირის წინათ დაიწყო, თუმცა, თავად ფეხბურთელს "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის იმედი ჰქონდა და ლონდონელებს არ თანხმდებოდა. "მანჩესტერმა" დაფის შეძენაზე უარი თქვა და დაფიც "ჩელსიში" გადასვლას დათანხმდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალი" კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელის, ამჯერად მცველის შეძენას გეგმავს. მადრიდელთა ინტერესის სფეროში იტალიის ნაკრებისა და მილანის "ინტერის" მცველი, ფაბიო კანავარო მოექცა. "ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი ფეხბურთელის გაყიდვაზე თანახმაა, თუმცა, მას მხოლოდ ფულის სანაცვლოდ შეეღევა. მადრიდელებს კი სურთ, კანავარო ფეხბურთელთა გაცვლის გზით ჩაიგდონ ხელში. "რეალი" მილანელებს სანტიაგო სოლარის და რამდენიმე მილიონს სთავაზობს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გერმანული "კიკერის" ინფორმაციით, დორტმუნდის "ბორუსიას" მეკარე იენს ლემანი ლონდონის "არსენალის" მიერ შეთავაზებულ კონტრაქტზე დათანხმდა. როგორც ჩანს, სიმენის შემცვლელად სწორედ გერმანელი მეკარე მოგვევლინება. თუმცა, "ბორუსია" და "არსენალი" სატრანსფერო თანხაზე ჯერ არ შეთანხმებულან. გერმანელები 3,5 მილიონ ევროს მოითხოვენ, "არსენალი" კი მილიონით ნაკლებს სთავაზობს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ორ იტალიურ კლუბს - სერია A-ს წარმომადგენელ "რომას" და სერია B-ს ბინადარ "ნაპოლის" - ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატიდან გარიცხვა ემუქრება. იტალიური პრესის ცნობით, ამ კლუბებს, ისევე როგორც დანარჩენ 23 ქვედალიგოსან გუნდს, მძიმე ფინანსური პრობლემები აქვთ. 28 ივლისს კლუბებმა თავიანთი ფინანსური მდგომარეობის შესახებ დოკუმენტაცია უნდა წარუდგინონ იტალიის საფეხბურთო ლიგას. სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა, გააგრძელებენ თუ არა ისინი იტალიის ჩემპიონატში თამაშს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ლიდს იუნაიტედი" იტალიელი ვეტერანის, პაოლო დი კანიოს შეძენით დაინტერესდა. დი კანიო, რომელმაც თავისუფალი აგენტის სტატუსით მიატოვა "ვესტ ჰემი", ახალი კლუბის ძიებაშია. მისი აგენტის თქმით, ფეხბურთელით რამდენიმე ცნობილი ევროპული კლუბია დაინტერესებული, თუმცა, თავად დი კანიოს ინგლისში უნდა დარჩენა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ჰაიტის რესპუბლიკის საქალაქო ახალგაზრდული ტურნირის ფინალური მატჩი ტრაგედიით დასრულდა. ქალაქ პტი-გოაში მიმდინარე შეხვედრისას გაწყდა მაღალი ძაბვის კაბელები, რომლებიც გულშემატკივართა ტრიბუნებს დაეცა. 15 ადამიანი გარდაიცვალა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** "ფერარის" ბრაზილიელი პილოტი რუბენს ბარიკელო, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატის უკანასკნელი გრან-პრი მოიგო, სილვერსტოუნში მიღებული პრიზით დიდხანს ვერ დატკბა. სან პაულუს აეროპორტის საბაჟოზე ბარიკელომ აღმოაჩინა, რომ მის ბარგში არ იყო სილვერსტოუნში მოპოვებული თასი. "ვიღაც არამზადამ ჩემი ჩანთა გახსნა და თასი მოიპარა", - განუცხადა პილოტმა აეროპორტში შეკრებილ ჟურნალისტებს. ახლა ბარიკელოს მოუწევს, სილვერსტოუნის გრან-პრის ორგანიზატორებს თასის ასლის დამზადება სთხოვოს.

საგულისხმო სპორტი

# ვეშაპების აღლუმი



X FINA World Championships

გიგა გურასაშვილი

ბევრი რამ შეიძლება ითქვას ბარსელონაში მიმდინარე საწყლოსნო სახეობათა მსოფლიო ჩემპიონატზე, მაგრამ ჩვენ იმაზე გავამახვილოთ ყურადღება, რაც გამორჩეულთაგან უფრო გამორჩეულია. მით უმეტეს, რომ დაიწყო მსოფლიო რეკორდების ათვლა. თუ მოცურავეთა ასპარეზობის პირველ დღეს რეკორდი არ აღინიშნა, მეორე დღეს ერთბაშად სამი რეკორდი გაცამტვერდა. თანაც, ისეთ დისციპლინასა თუ სტადიაზე, რომ ამგვარ შედეგებს კარგი საფუძველი ჩაეყარა. მაგრამ ვარაუდი ფუჭი გამოდგა. უფრო სწორად, ბევრი რამ ალოგიკურად განვითარდა. თუმცა, ჩემპიონატის ხიბლიც ამაშია. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ინტრიგაც არ იქნებოდა. ახლა კი მასზე, ვინც იმედები გააცრუა.

მოგეხსენებათ, ავსტრალიელმა ლეიზელ ჯონსმა 100 მეტრზე ბრასით ნახევარფინალური გაცურვისას დაამყარა მსოფლიო რეკორდი და მისგან ფინალში რეკორდის გამეორებას ან დამყარებას თუ არა, გამარჯვებას მაინც ელოდნენ. ჯონსმა მხოლოდ მესამე შედეგი აჩვენა - 1.07,47. გამარჯვება კი მოქმედ ჩემპიონს, ჩინელ ლუო სუედჟუანს დარჩა.

როგორც წესი, მსოფლიო ჩემპიონატებსა თუ ოლიმპიურ თამაშებზე აღლუმი მიჰყავთ ისეთ ვეშაპებს, როგორიც აშშ და ავსტრალიაა. ამიტომ მთელი ყურადღებაც მათკენაა მიპყრობილი. ამასობაში ამ ქვეყნებმა თანაბარი რაოდენობის მედლები მოაგროვეს. ერთადერთი, რაშიც იანკები მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებს ჯერჯერობით ვერ უტოლდებიან, ეს მსოფლიო რეკორდებია. ამ მხრივ, სამი დღის ჯამში, უპირატესობა ოზების მხარესაა. თუმცა, სარეკორდო ყულაბა ამერიკელებმაც გახსნეს. მაიკლ ფელპსმა 200 მეტრზე ბატერფლაით ნახევარფინალურ გაცურვაში საკუთარი მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა – 1.53,93. ამერიკელები ახლოს იყვნენ რეკორდთან 100 მეტრზე გულაღმა ცურვაშიც, მაგრამ არონ პირსოლს ერთი მეასედით დაუცდა ფეხი. 53,61 - ეს შედეგი კი, ბუნებრივია, ჩემპიონის საკადრისია. პირსოლების გვარისთვის უხვმოსავლიანი გამოდგა ჩემპიონატის მესამე დღე. ვიდრე ელექტრონტაბლოზე არონის საჩემპიონო შედეგი აკიაფდებოდა, მისმა დამ, ჰეილი პირსოლმა, 1500 მეტრზე ფინალურ გაცურვაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. გამარჯვება მოქმედმა ჩემპიონმა, გერმანელმა ჰანა შტოკბაუერმა იზეიმა.

სხვათა შორის, ოქროს მედლების მხრივ გერმანელებიც (3-1-10) ამერიკელებთან (3-5-1) და ავსტრალიელებთან (3-3-3) არიან შეამხანაგებული. ევროპელთაგან, ვისაც ამერიკელებისა და ავსტრალიელების დამუხრუჭება შეეძლო, გერმანელები არიან, მაგრამ ეს ადრე იყო. დღეს კი გერმანელები უმაღლესი კლასის კადრების ნაკლებობას განიცდიან.

მაიკლ ფელპსმა რეკორდი ნახევარფინალშივე დაამყარა.

ორთაბრძოლებიდან შეიძლება გამოვარჩიოთ ავსტრალიელი იან ტორპისა და ჰოლანდიელი პიტერ ვან დენ ჰუგენბანდის ისტორიული მეტოქეობა. ორივე თანამედროვეობის უდიდესი მოცურავეა და არაერთი მედალიც დაუმსახურებიათ, მაგრამ ყველაზე დიდი ხმაური მაინც სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე გამოიწვიეს. უფრო სწორად, ამ შემთხვევაში ჰოლანდიელს ვგულისხმობთ. საქმე ის არის, რომ 200 მეტრზე თავისუფალში ტორპის ჰეგემონიის დამხობას ვერავინ ახერხებდა. სიდნეის ოლიმპიურ წყალში კი, როდესაც ტორპს იოლ გასეირნებას უწინასწარმეტყველებდნენ, ჰუგენბანდმა, ყველასთვის მოულოდნელად, ავსტრალიელის შეტევა გააუვნებელყო და ჩემპიონის მედალს დაეუფლა. მას შემდეგ 200 მეტრზე ასპარეზობამ ინტრიგა შეიძინა. ახლაც მოუთმენლად ელოდნენ მათ დაპირისპირებას. დუელში კი (სხვა სახელს ვერც დაარქმევ 200 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავეთა ფინალს) გამარჯვება ავსტრალიელს დარჩა - 1.45,14.

"დიდი ვერაფერი შედეგი იყო! თუმცა, მაინც კმაყოფილი ვარ. ასპარეზობისას იმაზე ვნერვიულობდი, მთელი ამ ხნის განმავლობაში სად იყო ჰუგენბანდი. ვცდილობდი, საკუთარ ცურვაზე გადამეტანა აქცენტი და არ მეფიქრა იმაზე, თუ რას აკეთებდა ის", - ფინალის შემდეგ განაცხადა ავსტრალიელმა ფენომენმა.

### საქართველოს დღეები სანკტ-პეტერბურგში

23-28 ივლისს სანკტ-პეტერბურგში საქართველოს დღეები გაიმართება. ქალაქის ადმინისტრაციის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ცნობით, ამასთან დაკავშირებით 27 ივლისს სანკტ-პეტერბურგში ჩადის ოფიციალური დელეგაცია საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის ვახტანგ რჩეულიშვილის ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან - თბილისის მერი ვანო ზოდელავა, საქართველოს ელჩი რუსეთში ზურაბ აბაშიძე, მწერალი ნიკო ჯავახიშვილი, კულტურის მინისტრის მოადგილე გიორგი ცქიტიშვილი, მომღერალი ნანი ბრეგვაძე, მსახიობი სოფიკო ჭიაურელი, დიდი თეატრის სოლისტი ზურაბ სოტკილავა, არქიტექტორი არჩილ მინდიაშვილი და სხვები.

გუშინ რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ქართველი ავტორების იმ ნაწარმოებთა გამოფენა, რომლებიც გამოცემულია სანკტ-პეტერბურგში დღიდან ქალაქის დაარსებისა. სანკტ-პეტერბურგის მხატვართა კავშირში კი გაიხსნება ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა. 27 ივლისს საფუძველი ჩაეყრება საქართველოს კულტურული ცენტრის მშენებლობას.

28 ივლისს დელეგაციის წევრები ეწვევიან ალექსანდრე ნეველის ლავრას და ყვავილებით შეამკობენ ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლების, დავით ჩუბინაშვილის, გიორგი ტოვსტონოგოვის, ანატოლი სობჩაკის და სხვა გამოჩენილი მოღვაწეების საფლავებს.

საქართველოს დღეები დიდ საკონცერტო დარბაზ "ოქტიაბრსკიში" საზეიმო კონცერტით დასრულდება. **კავკას-პრესი**

### სამინისტრო პროექტს ემიჯნება

საქართველოს კულტურის სამინისტრო პროექტს "საქართველოს კულტურის დღეები მაროკოში" კატეგორიულად ემიჯნება. ამის შესახებ დღეს გამართულ ბრიფინგზე სამინისტროს ინფორმაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის დირექტორმა გიორგი ქავთარაძემ განაცხადა.

ქავთარაძის ინფორმაციით, უკანასკნელ დღეებში მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალებებით რეკლამა ეწევა პროექტს "საქართველოს კულტურის დღეები მაროკოში" და პროექტის ავტორები აცხადებენ, რომ ამ ღონისძიების ერთ-ერთი მონაწილე საქართველოს კულტურის სამინისტროა. მისივე განმარტებით, პროექტს ახორციელებს შპს "ამაღლება", მისი ხელმძღვანელი ნუგზარ ცერცვაძე და ამ ჯგუფს სამი წლის წინ მაროკოში მსგავსი ღონისძიების ჩატარების მცდელობა ჰქონდა, რაც მენეჯმენტის გაუმართაობის გამო არ მოხერხდა. მანვე აღნიშნა, რომ არც მაშინ და არც ახლა კულტურის სამინისტრო ხსენებული ღონისძიებების ავტორი არ ყოფილა, თუმცა სამი წლის წინ ჩაშლილი პროექტის ორგანიზატორებმა სამინისტროს სიტყვიერი მხარდაჭერა მიიღეს.

გიორგი ქავთარაძის განცხადებით, პროექტის ჩაშლის შემდეგ დაზარალებულები, რომლებმაც პროექტში მონაწილეობისათვის თანხა გადაიხადეს, ბრალს კულტურის სამინისტროს სდებდნენ და მისგან მოითხოვდნენ კომპენსაციას. თავად ცერცვაძე კი სამინისტროში არ გამოჩენილა და არც ახსნა-განმარტებები მიუცია. აღსანიშნავია, რომ მაროკოში ჩაშლილი კულტურის დღეების საკომპენსაციოდ წელს სამინისტრომ 51-ე სკოლის მოსწავლეები თურქეთის საერთაშორისო ფესტივალზე უფასოდ გაგზავნა. საქართველოს კულტურის სამინისტრო იმედს გამოთქვამს, რომ ორგანიზატორები ამჯერად მაინც შეძლებენ პროექტის განხორციელებას, მაგრამ როგორც აღინიშნა, ამ ღონისძიებას კატეგორიულად ემიჯნება. **კავკას-პრესი**

### ზღაპრის რადიოკლუბი

თბილისის ზღაპრის თეატრი ბავშვებისათვის ზღაპრის რადიოკლუბს შექმნის. პროექტის პრეზენტაციაზე თბილისის ზღაპრის თეატრის ხელმძღვანელმა მიხეილ ანთაძემ განაცხადა, რომ ისინი ზღაპრებს რადიოგადაცემების სახით გააკეთებენ და ბავშვებს საშუალება ექნებათ თავიანთი საყვარელი ზღაპრები წიგნების წაკითხვის გარდა რადიოთიც მოისმინონ.

ზღაპრებს თბილისის ზღაპრის თეატრის მსახიობები გაახმოვანებენ. მიხეილ ანთაძის განცხადებით, ზღაპრების პირველი აუდიო სერია, რომელიც კომპაქტ-დისკებზე იქნება განთავსებული, ზუგდიდის რადიოს გადაეცმა საჩუქრად, თუმცა მომავალში, შესაძლოა, მსგავსი საჩუქარი საქართველოს სხვა რაიონების ბავშვებმაც მიიღონ.

როგორც მიხეილ ანთაძემ განაცხადა, აღნიშნული პროექტის განხორციელებაში თბილისის ზღაპრის თეატრს დახმარებას უწევს ფრანგული საქველმოქმედო ორგანიზაცია "საქართველოს ბაღები", რომელიც პროექტის ფინანსურ მხარეს უზრუნველყოფს.

# პირველი შანსი ქართველი ლამაზმანებისთვის

*"მის საქართველოს" ორგანიზატორები პრესკონფერენციაზე.*

ირინა ლაზარიდისის ფოტო

**პირველი გვერდიდან**

დაახლოებით ექვსთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ, საერთაშორისო პროექტის ავტორებმა დადებითად გადაწყვიტეს საქართველოში ოფიციალურ წარმომადგენლად აერჩიათ სამოდელო სააგენტო "იმიჯ-ცენტრი". თანამშრომლობის შედეგად საქართველოში პირველად გაიმართება სილამაზის კონკურსის "მის მსოფლიოს" შესარჩევი ტური. რაც მთავარია, გოგონების შერჩევა არ შემოიფარგლება თბილისით - რეგიონული ტურები გაიმართება საქართველოს ოც ქალაქში; საუკეთესოები კი სექტემბრის შუა რიცხვებში მონაწილეობას მიიღებენ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგმილ ფინალურ შოუში.

"მის მსოფლიოსთან" მოლაპარაკებებმა საკმაოდ დიდი დრო წაიღო, თუმცა, გადაწყვეტილების მიღებიდან კონკურსის "მის საქართველოს" (რომლის გამარჯვებულიც სწორედ "მის მსოფლიოზე" უნდა გაიგზავნოს) გამართვამდე დრო არც ისე ბევრია. "იმიჯ-ცენტრმა" ახლახანს დაიწყო საკმაოდ გრანდიოზული და ძვირადღირებული პროექტისთვის სამზადისი. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სამოდელო სააგენტო ამ პროექტს სარეკლამო კომპანია "იმპერიალის", სამაუწყებლო ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ისა და რამდენიმე სპონსორი ორგანიზაციის მხარდაჭერით ახორციელებს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია საქართველოს ოც ქალაქშია დაწყებული. როგორც ორგანიზატორებმა გვითხრეს, იმის მიუხედავად, რომ სულ ორი დღეა, რაც კონკურსის სარეკლამო რგოლი გავიდა ეთერში, მსურველთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. შერჩეულ ქალაქებში დანიშნული რეგიონული წარმომადგენლები თავად გადაწყვეტენ კონკურსის წესებს, პირობებსა და "მის საქართველოს" შესარჩევი ტურების გამართვის თარიღს; რეგიონული გამარჯვებულები კი სექტემბერში თბილისში შეიკრიბებიან ფინალურ ღონისძიებაზე.

"მე იმიტომაც ვზივარ აქ, რომ მჯერა "იმიჯ-ცენტრის შესაძლებლობების. ყველამ კარგად ვიცით, რა დონეზე იმართებოდა ჩვენთან სილამაზის კონკურსები. ეს იქნება ძალიან ობიექტური კონკურსი, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ჩვენ დავამტკიცებთ, რომ სილამაზის ყიდვა არ შეიძლება", - თქვა დათო ოქიტაშვილმა. მისი უწყება (თბილისის მერიის კულტურის სამსახური) ღონისძიების ერთ-ერთი მხარდამჭერია. ოქიტაშვილის ნათქვამში რომ ეჭვი არ შეგეპაროთ, გეტყვით - დაგეგმილი კონკურსი, გარკვეულწილად, დაზღვეულია მთელი რიგი უხერხულობებისგან, რაც თითქმის ყოველთვის თან სდევდა, ძირითადად, რესტორნებსა და საეჭვო ღირებულებების მქონე დაწესებულებებში გამართულ მსგავს ღონისძიებებს. პირველ რიგში, კონკურსის ორგანიზატორები იზრუნებენ რეგიონებიდან შერჩეული საუკეთესო გოგონების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. სექტემბერში ისინი "იმიჯ-ცენტრის" ბაზაზე გაივლიან ორკვირიან მოსამზადებელ ეტაპს; მათთან იმუშავებენ გამოცდილი ფსიქოლოგები, მეტყველების მასწავლებლები, -ეს ყველაფერი აუცილებელია იმისთვის, რომ ქართველი ლამაზმანები ფილარმონიაში გამართულ ფინალურ შოუში ღირსეულად წარდგნენ.

"ჩვენ ამ ღონისძიებას განვიხილავთ, როგორც საქართველოს ახალგაზრდობის სოციალური რეაბილიტაციის პროექტს. "იმიჯ-ცენტრს" ამაში სერიოზული გამოცდილება აქვს", - გვითხრა სამოდელო სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ია კიწმარიშვილმა. ასევე აღსანიშნავია, რომ ფინალური საღამოზე ("მის საქართველო") შემოსული თანხის ნაწილი ქველმოქმედებას მოხმარდება. რაც შეეხება ფინალურ შოუს, თითქმის ყველა პირობა არსებობს, რომ ის საქართველოში აქამდე გამართული მსგავსი კონკურსებისგან სრულიად განსხვავებული იყოს. საგანგებოდ ამ შოუსთვის საღამოს სამოსისა და ფეხსაცმლის კოლექციას სალონი "მაკა ასათიანი" და თათა ვარდანაშვილი შექმნიან. "მის საქართველოს" გვირგვინის დამზადება ძვირფასი მეტალისა და ქვებისგან კი უკვე დაიწყო საიუველირო სალონმა "დიადემამ".

ისეთი მნიშვნელოვანი დეტალი, როგორიცა ჟიურის შემადგენლობაა, ფინალურ ღონისძიებამდე საიდუმლოდ დარჩება. "გარწმუნებთ, ჟიურის ყველა წევრი კომპეტენტური იქნება", - გვითხრა ია კიწმარიშვილმა. და თუკი მაინც, მაყურებელს თავად ექნება სურვილი მონაწილეობა მიიღოს კონკურსანტების შერჩევაში, მათაც აქვთ შანსი. ეს შესაძლებლობა მიეცემათ საგანგებოდ დამზადებული ინტერნეტ-საიტიდან, ტელეეთერის საშუალებით და ბოლოს, ფილარმონიაში იქნება შესაბამისი ურნები, სადაც დამსწრე საზოგადოებას შეეძლება ხმა მისცეს სასურველ კანდიდატს. სწორედ ამ გზებით შერჩეული საუკეთესო გოგონა იქნება ათიდან ერთ-ერთი ნომინაციის - "ხალხის სიმპათიის" გამარჯვებული. სულ ფინალურ შოუზე გამოვლინდება ათი ნომინანტი: `მის საქართველო", რომელიც გაემგზავრება "მის მსოფლიოზე", "მის გრაცია", "მის ელეგანტურობა", "მის ექსტრავაგანტულობა", "მის ფოტოგენურობა", "მის ფიტნესი", "მის ბიკინი", "მის ინტელექტი", "მის მეგობრობა" და ხალხის სიმპათია. რასაკვირველია, თითოეულ ნომინაციაზე ღონისძიების სპონსორებისგან გათვალისწინებულია საკმაოდ შთამბეჭდავი პრიზები.

დაბოლოს: ვინ იქნება საქართველოს სახე, რომელიც პირველად ჩვენ ქვეყანას წარადგენს ისეთ პრესტიჟილ და პოპულარულ კონკურსზე, როგორიც "მის მსოფლიოა"? როგორც ღონისძიების ორგანიზატორი ია კიწმარიშვილი ამბობს, ერთადერთი პირობაა, კონკურსის მონაწილეთა ასაკი განისაზღვროს 17-24-ით; ზოგადი განსაზღვრება კი, ისეთი, როგორც ეს სამოდელო სააგენტოს ხელმძღვანელმა ჩამოაყალიბა, ვფიქრობთ ყველასათვის მისაღები უნდა იყოს: "მის საქართველო", რომელიც იქნება ჩვენი ქვეყნის სახე, უნდა იყოს სასიამოვნო გარეგნობის, შესაფერისი ინტელექტითა და შინაგანი შარმით". კონკურსი "მის მსოფლიო" წელს 6 დეკემბერს ჩინეთის, სიდიდით მეორე კუნძულ ჰაინანზე გაიმართება.

# ფასიანი მოგონებები ელვის პრესლის შესახებ

*ელვის პრესლი.*

ბუენოს-აირესის მაცხოვრებელი, 82 წლის მარტა რამიროს-ტაახო, თავისი მოგონებების წყალობით ერთ-ერთ მდიდარ ადამიანად იქცა. ღრმად მოხუცებული ქალბატონი, საკუთარ მხარეში წინასწარმეტყველად და ჯადოქრადაა ცნობილი. იგი უკვე თითქმის 15 წლის განმავლობაში, გასაოცარი სიზუსტით ყვება როკ-ენ-როლის მეფის, ელვის პრესლის ცხოვრების უკანასკნელი საათების შესახებ.

ქალბატონ მარტას ხშირად სტუმრობენ ელვის პრესლის ცხოვრების და შემოქმედების მკვლევარები. ისინი ადასტურებენ, რომ მან მომღერლის შესახებ ძალიან ბევრი რამ იცის. მაგალითად მარტა რამიროს-ტაახომ თითქმის ზუსტად დაასახელა პრესლის პირადი დაცვის სახელები, აგრეთვე მისი ორი უკანასკნელი მეგზური - ფოტომოდელი ლინდა ტომსონი და მომღერალი კეტი ვესტმორლენდი. "ჯადოქარმა" ზუსტი თანმიმდევრობით ჩამოთვალა ყველა იმ ნივთის ადგილმდებარეობა, რომელიც გრეისლენდში - მომღერლის სახლ-მუზეუმში ინახება.

უცხოელი ტურისტები, ნათელმხილველის სახლის მონახულებას პირად მოვალეობად თვლიან, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მოისმინონ სხვადასხვა ისტორიები ელვის პრესლის შესახებ. ცნობები, რომლის შესახებაც მოხუცი ქალბატონი ყვება, მართლაც აისახებოდა "მეფის" ბიოგრაფიაში. თუმცა, მოგონებებს იგი გარკვეული გასამრჯელოს გარეშე არავის უზიარებს. თითოეული დაინტერესებული პირი მასთან საუბარში 35 დოლარს იხდის.

მთავარი პარადოქსი, რომლის გამოც, მარტა, მდიდარ სტუმრებს იზიდავს, იმაში მდგომარეობს, რომ თავად ნათელმხილველმა, პრაქტიკულად, მთელი ცხოვრება ჩრდილოეთ არგენტინის ერთ მიყრუებულ სოფელში გაატარა. მას არანაირი განათლება არ მიუღია. შესაბამისად, წარმოუდგენელია, რომ რომელიმე ახლობელს, მეზობელსა თუ ნათესავს, ელვის პრესლის შესახებ მისთვის ასეთი ამომწურავი ინფორმაცია შეეგროვებინა.

ასეა თუ ისე, რამიროს-ტაახომ თავის პრაქტიკაში, არგენტინისთვის ფანტასტიკური თანხა - 700 ათასი დოლარი დააგროვა. საკმაოდ დიდი კაპიტალის მქონე მოხუცებული, ყოველთვის ცდილობდა თავიდან აეცილებინა ზედმეტი ხარჯები. სწორედ ამიტომ, ახლა მას საშუალება მიეცა თავის ნებაზე პატივი მიაგოს როკ-ენ-როლის მეფეს, რომელმაც იგი მატერიელურად უზრუნველყო. მარტა რამირეს-ტაახომ 200 ათასი დოლარი ელვის პრესლის მუზეუმს უანდერძა.

თუმცა, ამ საჩუქარს გრეისლენდის მუზეუმი, მხოლოდ მოხუცის გარდაცვალების შემდეგ მიიღებს. გულთმისანი ქალბატონი აცხადებს, რომ თუკი იგი კიდევ 5-10 წელს მაინც იცოცხლებს, შესაძლოა, თანხა გაიზარდოს.

# ყველაზე კლასიკური „ხელოვნების ზეიმი"

## ფესტივალი ნიკოლაი პეტროვსა და კონსტანტინე ორბელიანს მასპინძლობს

*სომხური წარმოშობის ამერიკელი დირიჟორი კონსტანტინე ორბელიანი.*

*ნიკოლაი პეტროვი ისვენებს.*

ირინა ლაზარიდისის ფოტოები

მადი სერებრიაკოვა

გუშინდელი დღე ბორჯომის მეორე საერთაშორისო ფესტივალზე ყველაზე კლასიკური გამოდგა. ცნობილი რუსი პიანისტი ნიკოლაი პეტროვი და ამერიკელი დირიჟორი კონსტანტინე ორბელიანი, "ხელოვნების ზეიმზე" ბახის, მოცარტისა და პროკოფიევის ნაწარმოებებისაგან შედგენილი პროგრამით ჩამოვიდნენ. პარტნიორობას მათ ფესტივალის მასპინძელი, საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი უწევდა.

ნიკოლაი პეტროვი მუსიკალურ სამყაროში მეტად გავლენიანი პიროვნებაა. გარდა პიანისტის ბრწყინვალე კარიერისა, იგი რუსეთის ხელოვნების აკადემიის და ამავე დროს ფესტივალ "კრემლი–მუსიკალური" და "ნიკოლაი პეტროვის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის" პრეზიდენტია. ნიკოლაი პეტროვს საქართველოსთან ძველი მეგობრობა აკავშირებს. საბჭოთა კავშირის დაშლამდე იგი არა ერთხელ იყო საქართველოში. მონაწილეობდა, "ხელოვნების ზეიმის" წინამორბედ, ბიჭვინთის ფესტივალში, გამოდიოდა ისეთ მუსიკოსებთან ერთად, როგორებიც ჯანო კახიძე, ეთერ ანჯაფარიძე და თავად ლიანა ისაკაძეა. პეტროვს რეპერტუარში ვახტანგ კახიძის საფორტეპიანო კონცერტიც აქვს შეტანილი. ისევე როგორც ყველა დანარჩენი მონაწილე, ნიკოლაი პეტროვი ბორჯომში ისაკაძის მოწვეით ჩამოვიდა: "ასე მგონია, ლიანას მთელი ცხოვრება ვიცნობ და მის მიმართ უნაზეს სიყვარულს ვგრძნობ".

ნიკოლაი პეტროვი ცნობილი რუსი ბანის, ვასილ პეტროვის შვილია. წელს მისი იუბილეა, პეტროვს 50 წელი შეუსრულდა. ცოტათი ადრე კი მან ძალზედ მხიარული იუბილე აღნიშნა – პირველი ჰონორარის იუბილე: 40 წლის წინათ მას პირველად გადაუხადეს 10 მანეთი იურმალაში გამოსვლისათვის. აქედან იწყებს თავად პიანისტი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ათვლას. სადღეისოდ, პეტროვი წელიწადში ასამდე კონცერტს მართავს მსოფლიოს გარშემო.

პეტროვს კონცერტამდე, რეპეტიციის შესვენებაზე შევხვდით. პიანისტმა, პირველ რიგში, საკუთარი გულისტკივილი გაგვიზიარა: "ძალიან მიყვარს ქართველები და საქართველო და გული მწყდებოდა თბილისიდან ბორჯომისკენ გზაზე ამდენ დანგრეულ, გაპარტახებულ სახლებს, სოფლებს რომ ვხედავდი." მეორე სატკივარი პიანისტს კომპოზიტორთა სახლის როიალმა გაუჩინა, რომლის ჟღერადობამაც მუსიკოსი არ დააკმაყოფილა.

საბედნიეროდ, იგი საკუთარი პარტნიორებითაა ძალიან კმაყოფილი. კონსტანტინე ორბელიანს იგი დიდი ხანია იცნობს და თავად ვირტუოზი პიანისტი, დირიჟორ ორბელიანის პიანიზმზე სიამოვნებით საუბრობს. ეს უკანასკნელი, მართლაც, გადამწყვეტი აღმოჩნდა თავად ორბელიანის კარიერაში. მიუხედავად მისი გვარის ქართული ჟღერადობისა, იგი სომეხი ემიგრანტის შვილია და პირველი ამერიკელი დირიჟორია, რომელიც რუსეთში ორკესტრის ხელმძღვანელად მიიწვიეს. ეს გახლდათ რუდოლფ ბარშაის ცნობილი კამერული ორკესტრი, რომელსაც იგი 1991 წელს ჩაუდგა სათავეში. მანამდე კი მას პიანისტის შესანიშნავი კარიერა ჰქონდა. როგორც პიანისტი, იგი არა ერთ მნიშვნელოვან ორკესტრთან ერთად გამოდიოდა; მუშაობდა ისეთ დირიჟორებთან, როგორებიც ვალერი გერგიევი, ნეემი იარვისი, ალექსანდრე დიმიტრიევი და ვლადიმირ სპივაკოვია.

ორბელიანის ბარშაის ორკესტრში გადასვლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მისი კამერულ ორკესტრთან მუშაობის თავისებურებები, ჩვენი კამერული ორკესტრის წევრებმაც შენიშნეს. დახვეწილი ტექნიკისა და ორიგინალური მუსიკალური აზროვნების წყალობით, მან ისედაც შეუდარებელი ბარშაის ორკესტრიც კი ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

როგორც აღინიშნა, გუშინდელი კონცერტის პროგრამა, ძირითადად, კლასიკური რეპერტუარისგან იყო შედეგენილი. ეს ბუნებრივიცაა. პეტროვი ძველი მუსიკალური ტრადიციის მოყვარული პიროვნებაა. როგორც თვითონ აღნიშნა, "თანამედროვე ავანგარდულ მუსიკაზე, დროის ხარჯვა უაზრობად მიმაჩნია, მძულს პოპ-მუსიკაც; ერთადერთი, რასაც თანამედროვე მუსიკაში ვაღიარებ ჯაზია."

ნიკოლაი პეტროვმა ორკესტრთან ერთად ბახის ორი კონცერტი შეასრულა. ალბათ, მსოფლიოში იშვიათია ბახის ასეთი ბუნებრივი, უშუალო ინტერპრეტაცია, მისი რბილი, მსუბუქი ტექნიკა კი კომპოზიტორთა სახლის დაწუნებულ როიალსაც კი მოერგო.

საკუთარი ღირსებები დირიჟორმა და ორკესტრმა მოცარტის "დივერტისმენტსა" და პროკოფიევის "წამიერებანი"-ში უფრო უკეთ გამოამჟღავნეს. ეს უკანასკნელი კამერული ორკესტრისათვის, სწორედ რუდოლფ ბარშაის მიერაა დამუშავებული.

დღეს, "ხელოვნების ზეიმზე", ჯაზის დღეა, კონცერტს ვლადიმირ ტარასოვი, ლორე ნიუტონი და პატრიკ შეიდერი გამართავენ. ამასთან "მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" მხარდაჭერით, ბორჯომში კოხო მორის გამოფენაც იხსნება. მორი ტარასოვისა და მისი კოლეგების დიდი ხნის მეგობარია და არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა მათ აქციებში.

# ჰოლივუდში მაკედონელით დაინტერესდნენ

*ანჯელინა ჯოლი.*

ჰოლივუდში ალექსანდრე მაკედონელზე ერთდროულად ორ ფილმს იღებენ. ოლივერ სტოუნის ფილმი ფეხდაფეხ მიჰყვება მეორე პროექტს, რომელიც ცნობილი მხედართმთავრის ცხოვრებას ეძღვნება. ამჟამად ბაზ ლურმანის კინოსურათი დასასრულს უახლოვდება. ამ ფილმში მაკედონელს ლეონარდო დი კაპრიო ასრულებს. ოლიმპიოს კი – ნიკოლ კიდმანი. ფილმის პროდიუსერია ლეგენდარული დინო დე ლაურენტისი. ადამიანი, რომელიც ექვსასამდე კინოსურათის პროდიუსერია და მიიწვევა ყველაზე გავლენიან, დამოუკიდებელ პროდიუსერად.

როგორც ჟურნალმა Variety-მ გაავრცელა, ალექსანდრე მაკედონელის დედის როლის შესრულების პატივი ჰოლივუდის მსახიობს ანჯელინა ჯოლისაც ხვდა წილად; ამჯერად ცნობილი რეჟისორის ოლივერ სტოუნის გრანდიოზულ კინოპროექტში; ეს ფილმიც სწორედ სახელგანთქმული მხედართმთავრის ცხოვრებაზე მოგვითხრობს.

თავად მაკედონელის როლს "ახალი ვარსკვლავი", ირლანდიელი მსახიობი კოლინ ფარელი შეასრულებს. აღსანიშნავია, რომ სურათში მონაწილეობას მიიღებს ენტონი ჰოპკინსიც; ლეგენდარული მსახიობი მაკედონელის თანამოაზრის როლში მოგვევლინება. სტუდია Warner Bros-ის ხელმძღვანელობამ ჯერ ვერავინ დაამტკიცა მაკედონელის მამის, ფილიპის როლზე. თუმცა, ამის მიუხედავად, ფილმის გადაღებების დაწყების დრო მოახლოვდა. მსოფლიო პრემიერა 2004 წლის დეკემბერში უნდა გაიმართოს.

გადაღებებს იმ სცენებით დაიწყებენ, სადაც ჰოლივუდის ვარსკვლავი, ანჯელინა ჯოლი მონაწილეობს. ამის მიზეზი მსახიობის მოუცლელობაა. ჯოლი მომავალი წლის გაზაფხულიდან გადაღებებზე რუსეთში მიემგზავრება. როგორც ცნობილია, ფილმში "სიყვარული და პატივი", მსახიობი იმპერატორ ეკატერინე მეორეს განასახიერებს.

"სიყვარული და პატივი" მოგვითხრობს რუსი იმპერატორის მოღვაწეობის იმ მონაკვეთზე, როდესაც ისტორიული როლი შეასრულა მეთვრამეტე საუკუნის 70-80-იან წლებში, ჩრდილოეთ ამერიკის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში.

ისტორიიდან ცნობილია, რომ ბენჯამინ ფრანკლინმა რუსეთში საკუთარი ემისარი გაგზავნა, რათა ეკატერინე მეორე დაერწმუნებინა, არ დაეჭირა ბრიტანელებისთვის მხარი. დავალების შესასრულებლად, ემისარი იძულებული გახდა ყაზახების აჯანყება ჩაეხშო. მაღლიერების გამოსახატად კი ეკატერინე მეორე ამერიკელ გმირს საკუთარ საძინებელში უშვებს. შედეგად ახალგაზრდა ამერიკელს რუსი იმპერატორი შეუყვარდება, - ერთი სიტყვით, ეს ისტორიული პასაჟი მშვენიერი სცენარია ამერიკული ფილმისთვის.

## TV პროგრამა
### 24 ივლისი

**რუსთავი - 2**

**07.00** დილა მშვიდობისა **07.30** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.10** სერიალი "კომისარი მონტალბანო" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **18.50** სერიალი "მაშველები" **19.40** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **22.00** სერიალი "შავი ზეცა" **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" **00.40** მხ.ფილმი "დაცინვა". მთ. რ-ში: ფანი არდანი, ჟან როშფორი.

**პირველი არხი**

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი „ჯამუშები" **10.10** მხ. ფილმი „თავზეხელაღებული" **11.40** დოკ.სერიალი „მსოფლიოს ქალაქები" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „ემმაკუნა" **13.00** დოკ. სერიალი „ტექნოპოლისი" **14.00** დოკ. სერიალი „72 საათი" მე-3 ს. **15.15** მხ. ფილმი „ჯონი მნემონიკი" **16.50** კონცერტი **17.05** ტელესერიალი „ძილის წინ" **17.20** შემეცნებითი ფილმი „მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.45** „ერთი თეთრიც ფულია" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი „ევროპის ბუნება" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** ჰოლივუდის ვარსკვლავები **19.20** ტელეთამაში „იმედერე რამე" **21.05** ტელესერიალი „ემმაკუნა" **22.15** საქართველო არის ესე **22.35** ტელესერიალი „ძილის წინ" **23.00** „რა ხდება ?!" **00.00** მხ. ფილმი „ვაჟიშვილის ფიცი".

**პირველი სტერეო**

**08.00** მუსიკა **09.00** ტროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "მაიმუნის ძვალი" მთ. რ-ში ბრენდან ფრეიზერი, ბრიჯეტ ფონდა. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** "ბრავო""დამიჭირე, თუ შეგიძლია" მთ. რ-ში ლეონარდო დი კაპრიო, ტომ ჰენკსი. **02.00** "ღამურა" "მანამდე და შემდეგ" მთ. რ-ში მერილ სტრიპი, ლიამ ნისონი. **03.45** პაუზის გარეშე.

**მეორე არხი**

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** სერიალი "რვაფეხა" **20.30** ისტორიანი **21.00** შვიდეული **22.10** მხ. ფილმი "ქალი კამელიებით".

**კავკასია**

**12.00** მხ. ფილმი "დიდი ბიზნესი" **13.30** მხ.ფილმი "ვასაბი" **15.00** მხ.ფილმი "მარტოხელა გმირი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "უკანასკნელი მოჰიკანი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ფლაბერი" **22.30** მხ. ფილმი "ოცნების ზღვარი".

**იბერია**

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "უცნობი ქალის საიდუმლო" 1-ლი ნ. **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** დოკ. სერიალი "ექსპედიცია" **14.50, 17.20, 17.30, 21.55, 23.30, 00.50, 01.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "უცნობი ქალის საიდუმლო" მე-2 ნ. **17.30, 18.00** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **19.30** კონცერტი **21.00** ტელე-სინე-ვიდეო (გაგრძ.) **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ. "განგსტერები" **00.55** მხ.ფილმი .

**მეცხრე არხი**

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00** სერიალი "ჯონ როსი" **10.40** მულტსერიალი "სიმბა - მეფე ლომი" **11.00** სერიალი "ქალი პოლიციელი" **12.00** კლასიკური მუსიკა **12.10** მხ. ფილმი "მოკვდებით ერთად" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" **15.15, 18.50, 19.50** მუსიკა **15.30** სერიალი "ცეებ-ცხელება" **16.30** დოკ. სერიალი "ღმერთების ეტლები" 1-ლი ნ. **17.50** მარიონეტების ფილმი "ყოჩაღები"-ძეგლი **18.05** სერიალი "ჯონ როსი" **18.25** მულტსერიალი "სიმბა - მეფე ლომი" **19.00** სერიალი "პოლიციელი ქალი" **20.00** დოკ. ფილმი "კუდიანი ამბები" **21.15** სერიალი "ცეებ-ცხელება" **22.00** გადაცემა "ყვითელი კვადრატი". **22.25** ტელემეტრი **22.50** მოკლ. მხ. ფილმი "გაქცევა აბიგაილდან". **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.20** რუს. მხ. ფილმი "ალთუ და თოხანი".

**იმედი**

**09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55** ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.35** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი "იუდას ქალი" **10.30** არტ-ბულვარი **11.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **15.15** მხ. ფილმი "ჯეკ ნაიფი" **17.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი "იუდას ქალი" **19.30** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **20.30** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **21.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **23.00** სერიალი "ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები" **23.55** კინოვარსკვლავთა ღამე "შურისმაძიებელი ანგელოზები".

**აჭარა**

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** საბავშვო ფილმი "ძვირფასო მე უცხოპლანეტელი შევამცირე" **10.35** კომედია "თორმეტი სკამი" 1 ს. **12.10** კომედია "ორმაგი სახე" **13.55** ვიდეოარტი **14.00** დოკუმენტური ფილმი **14.25** ფილმი-ეტაპატროფა "რვაფეხა" **16.10, 19.20, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **16.20** მულტფილმი **17.25** კომედია "ვოვაჩკა" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.40** "პირისპირ" **20.30** კომედია "თქვენზეა არჩევანი მადამ" **21.55** "გალერეა" **22.50** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.00** მხატვრული ფილმი "ცეკვა მგლებთან" **03.20** მხატვრული ფილმი "ცეკვა მგლებთან" **04.15** კომედია "ჩემპიონების საუზმე".

**VII არხი**

**09.10** მელოდია **09.25** "აჩიკუდა" **09.45** მობილურები **10.35** მელოდია **11.00** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **11.30** მელოდია . **11.50** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.25** დისნეი და მისი მეგობრები **12.45** კომპიუტერული თამაშები **13.05** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.20** მოკლედ... სპორტი **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.30** კომპიუტერული თამაშები **20.35** ღამის კაპრიზი" - თემა: **21.25** მობილურები **22.55** "კინოკლუბი " - "ბედნიერი დანაკარგი" . კომედია. რეჟ: მაიკლ დილბეკი. როლებში: სოფი მარსო. 00.25აუდიო-ვიდეო-ტელე **00.55** მელოდია 01.10კომპიუტერული ტექნიკა.

**ОРТ**

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 21.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 11.05 Худ.фильм "Королева Марго" 12.05** "Шутка за шуткой" **12.35** Дисней-клуб: "Базз и его команда" **13.15 Худ. фильм "НЮРКИНА ЖИЗНЬ" 15.05 Сериал "Ваш ход, инспектор" 16.15** Док. сериал "Призраки монетного двора" **16.45** Ералаш **17.00 Худ. фильм "ЛЮБОВНЫЙ РОМАН" 17.55 Мелодрама "Свободная женщина" 19.20 Т/с "Герой нашего племени" 19.55 Сериал "НИРО ВУЛЬФ И АРЧИ ГУДВИН" 22.00, 00.30** Время **22.30 Худ.фильм "Русские в Городе Ангелов".** "Операция" **23.35 Сериал "Шпионка" 01.00** "Крылья" **01.30** Чемпионат мира по водным видам спорта в Испании **02.00 Худ. фильм "ВСЕГДА".**

**РТР**

**06.45** "Доброе утро, Россия!" **09.45, 21.55 Сериал "По имени Барон..." 10.40 Худ.фильм "И СНОВА АНИСКИН" 1-я с. 12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20** Ток-шоу "Короткое замыкание" **13.20 Сериал "Марш Турецкого-2" 14.15, 17.45** "Экспертиза" **14.30, 18.50, 03.05** "Дорожный патруль" **14.45** Вести - Москва **15.20** "Что хочет женщина" **16.10 Сериал "Семейные тайны" 17.15 Сериал "Простые истины" 18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **19.05** Вести - Спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал "Комиссар Рекс" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **23.00 Сериал "Марш Турецкого-2" 00.00 Худ. фильм "СВОЙ ЧЕЛОВЕК" 03.20 Сериал "БЕТТИ" 04.10 Сериал "ГРОС-ПОИНТ" .**

**НТВ**

**07.00** "Утро на НТВ" **10.05 Сериал "ЖИЛ-БЫЛ Я..." 11.00** "Сегодня утром" **11.25** 'РАСТИТЕЛЬНАЯ ЖИЗНЬ' **12.05** 'КУЛИНАРНЫЙ ПОЕДИНОК. РОССИЯ - МАРОККО' **13.00, 16.00, 18.00, 20.00** "Сегодня" **13.30** Ток-шоу "Страна Советов" **14.35 Боевик 'УДАР ЛОТОСА-2' 1 с. 15.45** "Криминал" **16.35 Фильм 'СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ' 1 с. 18.30 Сериал "Скорая помощь 2" 19.25** 'ОЧНАЯ СТАВКА' **20.35 Сериал "Улицы разбитых фонарей" 21.45 Боевик "УДАР ЛОТОСА-2" 2 с. 23.00** "Страна и мир" **23.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 00.40 Сериал "КЛАН СОПРАНО" 01.45** "Сегодня" **02.10** Гордон **03.05** Кома.

# ახალი რეკლამები უცნაური პერსონაჟებით

*ანჯელინა ჯოლი რძის რეკლამაში.*

*ევა ჰერციგოვა მზადაა, მამაკაცი გახდეს, ოღონდ "ლანჩა" გაიყიდოს.*

თამარ ბაბუაძე

ევა ჰერციგოვა სააბაზანო ოთახში შედის (ერთმანეთს ენაცვლება ახლო და შორი პლანი), სახეს მონდომებით იპარსავს აქაფებული საპნითა და სამართებლით, იცვამს მამაკაცის თეთრ პერანგს, იკეთებს ჰალსტუხს, ჯდება მანქანაში და მიდის. შემდეგ ეკრანზე ჩნდება წარწერა: "ახალი "ლანჩა" მხოლოდ მამაკაცებისთვის"...

რეკლამას, რომელსაც აქვს იუმორი, მოულოდნელობის დიდი ეფექტი და ესთეტური მომხიბვლელობა, არა მხოლოდ ჰყიდის რეკლამირებულ პროდუქტს, არამედ ხელოვნების ნიმუშიც ხდება. მისი ნახვა მაყურებელს ისევე სიამოვნებს, როგორც კარგად გაკეთებული ფილმის ყურება. დასტურად, თუნდაც, დევიდ ბექჰემისა და "პეპსის", ჯორჯ ქლუნისა და "მარტინი ბიანკოს", სანტა კლაუსისა და "კოკა კოლას", ან პოპ-ვარსკვლავებისა და რძის სარეკლამოდ შექმნილი კლიპების გახსენებაც საკმარისი იქნება.

თუმცა, წარმატებული რეკლამის ფორმულას დროთა განმავლობაში ახალ-ახალი ინგრედიენტები ემატება. ერთ-ერთი ასეთი სიახლე ამა თუ იმ პროდუქტის რეკლამაში უსინათლო ადამიანების გადაღებაა. როგორც ჩანს, კონკურენტულ გარემოში ისე რთული ხდება საკუთარი უპირატესობის დადასტურება, რომ სარეკლამო სააგენტოებს მხედველობადაქვეითებულები ერთადერთ ხსნად ევლინებათ.

გოგო და ბიჭი წვეულებაზე ერთობიან. ორივე ახალგაზრდა, მოდურად ჩაცმული და სიმპათიურია. ბიჭი მოიბოდიშებს და სპირფარეშოში მიდის. ჩანს, რომ ის გზას თეთრი ტროსტით მიიკვლევს – იმიტომ, რომ ბრმაა. შემდეგ ხელს იბანს და ოპერატორი ახლო პლანით გვიჩვენებს, თუ როგორ ნაზად სინჯავს ბიჭი ონკანსა და ნიჟარას, თითქოს, როგორ ეფერება მას. უკან დაბრუნებული კი გოგონას ეუბნება: "აუცილებლად წადი და ნახე სპირფარეშო, მოგეწონება". – ეს სააბაზანოსა და სამზარეულოს აქსესუარების დამამზადებელი ფირმის "კოლერის" 30-წამიანი რეკლამაა. მისი დედააზრი ასეთია: "კოლერის" სააბაზანო აქსესუარები ისეთი გამორჩეულია, რომ მისი ღირსებების შესაცნობად დანახვა არც არის საჭირო. "კოლერის" ფასს უსინათლოც კი ერთი ხელის შეხებით ხვდება.

აღსანიშნავია, რომ ამ რეკლამისთვის "კოლერს" უსინათლოთა ამერიკულმა ფედერაციამ სპეციჯილდო გადასცა. მათ დააფასეს ის ფაქტი, რომ რეკლამის გმირი უსინათლო ყმაწვილი სიმპათიური და თვითრწმენით სავსე იყო, ანუ მას თავისი ფიზიკური ნაკლი ხელს არ უშლიდა ნორმალურ ცხოვრებაში – არც წვეულებაზე წასვლასა და არც ლამაზი გოგონას გაცნობაში.

ერთი სიტყვით, ახალ სარეკლამო ტენდენციებს უსინათლოთა უფლებების დამცველნი აღტაცებით ხვდებიან. ისინი ხომ წლების განმავლობაში ითხოვდნენ უსინათლოთა ნორმალურ სოციალურ პროცესებში ჩართვას; იმ სტერეოტიპის დარღვევას, რომელსაც ალ პაჩინო ფილმში "ქალის სურნელი" ქმნიდა (პაჩინოს გმირს ხომ ქრონიკულად ტანჯავს თავისი ფიზიკური ნაკლი და სულ საკუთარ თავს ებრძვის). "კოლერის" მსგავსი რეკლამების წყალობით კი უსინათლონი არა მხოლოდ ერთვებიან ამ პროცესებში, არამედ უკვე ერთ-ერთ მთავარ როლსაც ასრულებენ – ისინი ძვირადღირებულ პროდუქციას ჰყიდიან.

გავიხსენოთ, თუნდაც კომპანია "პონტიაკის" ახალი ავტომობილის რეკლამა. ის უდაბნოშია გადაღებული. შავსათვალიანი ქალი და მამაკაცი მანქანას სრული სიჩქარით მიაქროლებენ ქვიშაში. სისწრაფითა და კომფორტული მანქანით აღფრთოვანებული ქალი ავტომობილს აჩერებს, ხელში ჯოხს იმარჯვებს, მანქანიდან გადადის და ღიმილით იყურება კამერისკენ – მხოლოდ ამ ეპიზოდში ხვდება მაყურებელი რომ ქალი ბრმაა. ანუ, "პონტიაკის" სისწრაფე, კომფორტულობა, მგრძნობიარობა და ძლიერება ის თვისებებია, რომელსაც ყველა გრძნობს და რომლის დანახვასაც უსინათლო მძღოლიც მშვენივრად ახერხებს.

ამერიკულ ტელე-ეთერში უსინათლო მსახიობი უკეთებს რეკლამას "როიალ ქროუნის" ალკოჰოლურ სასმელებსაც. ის შედის ბარში, უკვეთავს სასმელს და თან ისეთი სიმპათიური და თვითდაჯერებულია, რომ ქალების ყურადღებას უმალ იმსახურებს. უსინათლო კაციც უმალ ხვდება, რომ გვერდზე მშვენიერი მანდილოსანი უდგას, გადაკრავს თავის ჯადოსნურ სასმელს და მაცდური ღიმილით მის გასაგონად ჩაილაპარაკებს: "მგონი, ჩემ მარცხნივ რომ ქალი დგას, მოვწონვარ".

ეფექტი, რომელსაც ვიდეორგოლში სიმპათიური, მაგრამ უსინათლო მამაკაცის გამოჩენა იწვევს, დაუვიწყარია. ანუ, რეკლამა მიზანს ასი პროცენტით აღწევს და ეს მხოლოდ ფიზიკური ნაკლის მქონე პერსონაჟის დამსახურებაა.

ერთი სიტყვით, სარეკლამო ბაზარზე იმხელა სიახლე ფიქსირდება, რომ ევა ჰერციგოვას პირის პარსვაც კი მასთან შედარებით ორიგინალობას კარგავს; "პონტიაკის" უსინათლო მძღოლის ფონზე მაყურებელს უცნაურად აღარც ის ეჩვენება, რომ "იუვენტუსის" ფანი ბიჭუნა "პეპსის" ქილას ბექჰემის მაისურით წმენდს...

საბოლოო ჯამში, კი ბაზარზე ახლადგამოჩენილი უსინათლოები, ბექჰემთან, ჯორჯ ქლუნთან და ევა ჰერციგოვასთან ერთად კიდევ ერთხელ ამტკიცებენ თეორემას: იუმორი, ორიგინალობა და მოულოდნელობის ეფექტი ის თვისებებია, რომლებიც რეკლამას ხელოვნებად აქცევენ.

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელი დავით ჯიხაია

### ვაცხადებ

რომ აუქციონის წესით გაყიდვაშია: თურქეთის რესპუბლიკის ქ. კასტამონი სოფ. იაზტეფეში მცხოვრები ნაიმ ქოჯუქის საკუთრებაში არსებული ქონება, კერძოდ, თბომავალი გემი "სელიმ-1", მშრალი ტვირთმზიდი, გამოშვებული 1887 წელს. სიგრძე 54,10 მ, სიგანე - 8,60 მ, წყალჯდომა - 4,90, ძრავის მოცულობა 495 ცხენის ძალა. მუშა მდგომარეობაში. თბომავლის საწყის ფასს წარმოადგენს 200 000 (ორასი ათასი) ლარი. თბომავალი მდებარეობს ქ. ფოთი, ახალი პორტი, II საზღვაო დივიზიონში.

აუქციონი ჩატარდება 2003 წლის 31 ივლისს, 12 საათზე. ქ. ფოთი, ჭანტურიას ქ. № 3.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა და სხვა პირებმა, რომელთაც გააჩნიათ უფლებები აღნიშნულ ქონებაზე, მოგვმართონ მისამართზე:

ქ. ფოთი, ჭანტურიას ქ. № 3. ტელ: (899) 51 36 53. თან იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და აუქციონზე შესაძენი ქონების ღირებულების 10 % გარანტის სახით.

ამერიკული კომპანია **PEPSI COLA**-ს ოფიციალური ბოთლერი საქართველოში შ.პ.ს. "იბერია რეფრეშმენტი" იწვევს 30 წლამდე ასაკის მამაკაცებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე სამუშაოდ.

**აუცილებელი მოთხოვნები**

- განათლება უმაღლესი
- უპირატესობა მიენიჭებათ მანქანის მართვის მცოდნე პირებს

**კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე**

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ,გამოგზავნოთ ავტობიოგრაფია cv 15 აგვისტომდე ფაქსზე: 9134 58

**ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი გთავაზობთ უფასო იურიდიულ კონსულტაციებს თრეფიქინგის საკითხებზე.**

მისამართი: აღმაშენებლის 89/24, (მეტრო "მარჯანიშვილის" უკან), "თბილქალაქპროექტის" მაღლივი შენობა, მე-12 სართ.

ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 17 საათამდე.

ტელეფონი: 95-10-03

# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდსასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

## განცხადება

### სააქციო საზოგადოების მორიგი კრების მოწვევის შესახებ

სს "მცხეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს" დირექტორი იწვევს სს-ის აქციონერებს სს-ის რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2003 წლის 15 აგვისტოს $11^{00}$ საათზე ქ. მცხეთაში, სამხედროს ქ. № 9-ში მდებარე სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციულ შენობაში.

დღის წესრიგი:

1. წესდებაში ცვლილების შეტანა;

2. საწარმოს რეორგანიზაციის (დაყოფის) საკითხები.

დღის წესრიგის საკითხების გამო გადაწყვეტილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს-ის ადმინისტრაციაში.

დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებების მოთხოვნა დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოსაგან როგორც კრებაზე (ზეპირად), ასევე წერილობით. თუ ამგვარი წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ იქნა დირექტორატში ან სამეთვალყურეო საბჭოში 2003 წლის 5 აგვისტომდე, მასზე იქნება გაცემული პასუხი ან საკითხი შევა დღის წესრიგის დამატებით პუნქტად.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან:

ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები (ან მათი წარმომადგენლები), თუ ისინი (აქციონერები) რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში 2003 წლის 30 ივლისის 18 საათის მდგომარეობით. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ ა.წ. 4 აგვისტოს 10 საათიდან 12 აგვისტოს 18 საათამდე საწარმოს ადმინისტრაციაში.

ქ. მცხეთა, 2003 წლის 23 ივლისი

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24